



კახა ლაზარევილი

ცისანა ტატიშვილი

ЦИСАНА ТАТИШВИЛИ

TSISANA TATISHVILI

2011 წელი

წიგნის ავტორი და შემდგენელი: **კახა ლაზარიშვილი**
რედაქტორი: **შალვა გაბუნია**
მთარგმნელი: **მაკა მაძღარაშვილი**
დიზაინი: **ლევან ბარბაქაძე**

მადლობა ბატონ **გურამ ქაშაკაშვილს**
თანადგომისა და მხარდაჭერისათვის

Author: **Kakha Lazarashvili**
Edited by: **Shalva Gabunia**
Translated by: **Maka Madzgarashvili**
Design: **Levan Barbakadze**

For Support and Assistance we express our gratitude to
Mr. Guram Kashakashvili

Автор и составитель: **Каха Лазаришвили**
Редактор: **Шалва Габуния**
Перевод: **Мака Мадзгарашвили**
Дизаин: **Леван Барбакадзе**

За поддержку и содействие выражаем нашу благодарность
г-ну Гураму Кашакашвили

გამომცემლობა „ფორმპ“
Printed in Publishing House “FORMA”
Издательство «ФОРМА».

ISBN 978-9941-0-3339-1

ფოლადის „ოპერტონებით“ შიგვული ხმის პარსკვლავი...

- „ეს სათაური შევეურჩიე ქალბატონი ცისანა ტატიშვილის საიუბილეო კრებულში განსათავსებელ ჩემს მოგონებებს, რადგან ის ბუნებამ ნამდვილად უხვად დააჯილდოვა გარეგნული ხიბლით, შინაგანი სულიერებით, მგზნებარე, ცეცხლოვანი არტისტიზმით, რაფინირებული ფოლადის ულამაზესი ხმით. სიტყვა რაფინირებული მეტალურგიული ტერმინია და როგორც წესი ასეთი ფოლადები ხარისხობრივად ჩვეულებრივზე რამდენჯერმე ძვირფასია, კეთილშობილია, მისგან დამზადებული კამერტონი გაცილებით სასიამოვნოდ ჟღერს, ძვირფასი ლითონები-ოქრო და პლატინა კი რაფინირებით უძვირფასესნი ხდებიან...

ასე უძვირფასესად ისმის დღესაც საოპერო ხელოვნების მანათობელ ვარსკვლავად აღიარებული ქალბატონი ცისანა ტატიშვილის ულამაზესი ხმა მის მიერ შექმნილი უკვლავი სასცენო გმირების საშუალებით-ეთერი, ამელა, ლეონორა, აიდა, დეზდემონა, დონა ანა, სალომეა, ებოლი, ამნერისი, რომელი ერთი ჩამოვთვალო... ეს ცეცხლოვანი სახეები, მაღალი ჟღერადობით, დრამატიზმით, ლირიზმით, ძალიან ინდივიდუალურები არიან და მსოფლიოში გამოჩენილი არცერთი სხვა საერთაშორისო ვარსკვლავის მიერ შექმნილ სახეებს არ ჰგავს, ისინი მხოლოდ ცისანა ტატიშვილისეული პერსონაჟები არიან...

ცისანა ტატიშვილს ხმის ტემბრითა და სიმღერის მანერით, ასევე აქტიორული თვისებებით შეუდარებელ პარტნიორად აღიარებენ საოპერო ხელოვნებისთვის თავდადებული დიდოსტატები-ნოდარ ანდლულაძე, ზურაბ ანჯაფარიძე, რეზო კაკაბაძე, თეიმურაზ გუგუშვილი, ალექო ხომერიკი, ჯემალ მდივანი, მასთან სიმღერის დროს მაქსიმალურად ვიხარჯებითო ამბობდნენ... იგივეს აღნიშნავენ ცისანას მეგობრები და კოლეგები, ქალბატონები, ვინც სხვადასხვა დროს იდგნენ მის გვერდით მსოფლიოს გამორჩეულ პროფესიულ სცენებზე-ელენე ჩერნეი, ირინა არხიპოვა, ელენა ობ-

რაზცოვა, მედეა ამირანაშვილი, ლამარა ჭყონია, გალინა ვიშნევსკაია, მარია ბიეშუ და მსოფლიო საოპერო ხელოვნების სხვა მეტრები...

2010 წელს, კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართულ საღამოზე, რომელიც მიეძღვნა მისი სახელობის ვარსკვლავის გახსნას თბილისის ოპერის წინ, გაიჟღერა ასეთმა ფრაზამ, რომ ცისანა ტატიშვილის უბადლო საოპერო ხელოვნებას სათანადოდ ვერ მიეცა საერთაშორისო აღიარება, მას უამრავ შემოთავაზებაზე უარი ათქმევინა საბჭოთა წყობის კარჩაკეტილობამ. მე კი ვიტყვოდი, საბჭოთა თუ უფრო სწორად რუსულმა რეჟიმმა ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისთვის დიდებული საქმე გააკეთა-ქალბატონი ცისანას ღვთიური, დიდებული შემოქმედება, იაღონისებური ულამაზესი ხმა უვნებლად შეგვიწარჩუნა და დაგვიტოვა, რაც ჩვენი ქვეყნის, მისი გულშემატკივრების, ოპერის მოყვარულთა საკუთრებაა, დასავლეთის საოპერო ხელოვნების მესვეურებს კი სანატრებლად დარჩათ მისი განუმეორებელი ხმა და მართლაც უკიდვანო მასშტაბის, მხოლოდ ცისანასეული, საოცარი შემოქმედება.

ამიტომ მის გულშემატკივრებს, ქართველ საოპერო ხელოვნების მოყვარულთ მინდა მივმართო თხოვნით-თუ უბადლო ღირიკულ ტენორს ვანო სარაჯიშვილს ქართველმა ხალხმა საქართველოს ბუღბული შეარქვა, მამ მოდით ქალბატონი ცისანა ტატიშვილი თავისი ულამაზესი, განუმეორებელი ხმით საქართველოს იაღონად ვადიაროთ...”

გურამ ქაშაკაშვილი

საქართველოს ორჯის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი, რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და უკრაინის მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი, მეცნიერებათა დოქტორი.



„ხელოვანი ყველა თავის გამოვლილებაში მშვენიერი უნდა იყოს. შეამკოს და გაახალისოს ადამიანის ცხოვრება, დაეხმაროს მათ სიხარულშიც და მწუხარებაშიც, ასე მესმის მე მსახიობის დანიშნულება”

ცისანა ტატიშვილი

საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, კონსერვატორიის პროფესორი

ა ვ ტ ო რ ი ს ბ ა ნ

ქართული საოპერო ხელოვნების მარგალიტი ქალბატონი ცისანა ტატიშვილი, მსოფლიო ოპერის ერთ-ერთი დიდი მეგა-ვარსკვლავია. მისი სიმღერა სიხარულით ავსებს მილიონობით ადამიანთა გულებს... განსაცვიფრებელი სილამაზით კი თვალს ახარებს. უბადლო ხმა, ხმის პომპეზურობა და განუმეორებელი ტემბრი ყურს სიამოვნებს... იგი უყვართ, მოსწონთ, ეტრფიან... მას ეთაყვანებიან, ეფერებიან, უღიმიან და თბილ სიტყვებს ეუბნებიან... ყოველდღიურ ცხოვრებაში ბევრისთვის მისაბაძი ადამიანია, ხოლო ფერწერული ემოციებით პროფესიულ ასპარეზზე მისი შემოქმედება ძალიან მნიშვნელოვანი და მასშტაბურია. ქალბატონი ცისანას ხელოვნება ერთი განსაზღვრული ჟანრის ჩარჩოებში ვერ ეტყვა, ის უნიკალური მოვლენაა, რათქმაუნდა პოსტ-საბჭოთა სივრცეში, ევროპასა და ადგილობრივ სცენაზე.

იგი, რთული რეპერტუარის არტისტია, ძალიან გამორჩეული და თავისებური. ვოკალური მაგიის ხელოვანმა იცოდა, მძაფრი ხასიათის სახეების შექმნით, როგორ აეყვანა პუბლიკა, რომ ფინალის მომენტში მოენუსხა მთელი დარბაზი. თითოეულ სიტყვას მაქსიმალურად მკვეთრი არტიკულაციით გამოთქვამდა, თითოეულ ბგერაში წარმოუდგენელი რაოდენობის ემოციას დებდა. მისი ძლიერი, მრავალფეროვანი და ყოვლისმომცველი ხმა სცდებოდა როგორც ვოკალურ კლასიფიკაციას, ისე საოპერო თეატრებს. მღეროდა ყველაფერს, რაც გულით უნდოდა. მღეროდა უმაღლეს ღონეზე და რაც მთავარია- სრულიად გულწრფელად. აქედან გამომდინარე ცისანა ტატიშვილის რეპერტუარში გვხვდება უამრავი სხვადასხვა ტიპის საოპერო ნაწარმოები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ევროპის ბიბლიოთეკიდან ჩამოტანილი რ. შტრაუსის „სალომეას“ საოპერო პარტიტურაა, რომელიც საბჭოთა სივრცეში პრაქტიკულად მხოლოდ მან დასძლია და თანაც ისე, რომ ფიზიკური, ემოციური, სულიერი და ინტელექტუალური გამოხატულებით ალტაცებაში მოიყვანა მუსიკალური სამყარო. თუმცა, „სალომეამდე“ ქალბატონმა ცისანამ ვერდის, პუჩინის, მოცარტის, ვაგნერის, მასკანის

თავბრუდამხვევი პერსონაჟების დიდებული გალერეა შექმნა, თავისი ცხოვრებითა და ღვაწლით ხელთუქმნელი ძეგლი დაიდგა და ოპერის გვირგვინოსანი ქალის სახელიც დაისაკუთრა...

თბილისის უ. ვაჟა-ფშაველას სახელობის
ოპერის და ბალეტის
 თბილისის რეპერტუარის სახელმწიფო აკადემიური თეატრი
 ТБИЛИСКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ
 ОРАЕНА ЛЕНИНА АКАДЕМИЧЕСКИЙ ТЕАТР
ОПЕРЫ И БАЛЕТА
 ИМЕНИ З. ПАЛИАШВИЛИ

ქართული ენაზე
 ამის მომზადებას ხელშეწყობდა თბილისის
 ოპერის თეატრი და თბილისის მუსიკალური
 დარბაზი. თეატრის დირექტორი ზ. პალიაშვილი
 და მისი თეატრის მუსიკალური დირექტორი
 ნ. ხუროდზე თბილისის ოპერის თეატრის
 მუსიკალური დირექტორი ნ. ხუროდზე.

Суббота, **7** июня 1986 г.

Дж. ВЕРДИ

АИДА

опера в 4-х действиях

● ПЕРВОЕ ВЫСТУПЛЕНИЕ

в роли АМНЕРИС

Народной артистки СССР, лауреата премии им. З. Палиашвили

З. ПАЛИАШВИЛИ

Фараон—Ш. Чакветадзе
 Амонасро—Р. Какабадзе
 Аида—М. Томадзе
 Жрица—М. Давиташвили
 ● Радамес—А. Хомерики
 Гонец—Н. Гелашвили
 Рамфис—Т. Лаперашвили

засл. арт. ГССР
 нар. арт. ГССР
 нар. арт. ГССР
 засл. арт. ГССР
 нар. арт. ГССР

Дирижер—З. ХУРОДЗЕ
 нар. арт. ГССР, профессор

Начало в 19 ч. 30 м.

Билеты продаются

სკოლის მოსწავლე ვიყავი, როცა ქალბატონი ცისანა ტატიშვილი პირველად ვიხილე თბილისის ეროვნული ოპერის სცენაზე, კარგად მახოვს, ჯ. ვერდის „აიდაში“... არასოდეს დამავიწყდება ის შთაბეჭდილება სიემაწვილეშივე რომ შემექმნა ამ ქალღმერთზე...

ცისანა ტატიშვილი-აიდა, საოცრად ბუნებრივი, მოხდენილი, სადა, მაგრამ ამავე დროს დამატყვევებლად მდიდრული, არისტოკრატიული და დახვეწილი იყო...

გულამოდებული, უძვირფასესი ქსოვილის წითელი კაბა ეცვა, რომელიც თვალსაჩინოს ხდიდა მის ნატიფ სხეულს, სპილოსძვლისფერ ლამაზ მხრებსა და სახესე მკერდს, მკლავებსა და საოცრად მშვენიერ ხელის მტევენებს...

გიშერივით შავ თმებში ოქროსფერი პატარა ყვავილწული ჰქონდა გაკეთებული, ასეთივე ყვავილწული ეკეთა ქამრის ოქროსფერ ლენტზეც...

მისი მნახველი, მთელი სპექტაკლის განმავლობაში იმასვე განვიცდიდი, რასაც განიცდის სმენასმოკლებული, უმეტყველო, სრულიად პარალიზებული ადამიანი, რომელსაც მუსიკა არ ესმის, მაგრამ თვალს არ აშორებს მსახიობს, რომელსაც რეალურად კი არ აღიქვამს, არამედ ღმერთების სამყაროდან დროებით სტუმრად-მყოფი ჰგონია დედამიწაზე, რომ ადამიანებს დაუვიწყარი სიამოვნება მიანიჭოს და გააბედნიეროს...

ამასობაში სპექტაკლიც დამთავრდა, ვოკალურად თუ დრამატულად, ოთხი ურთულესი, ძალიან დამქანცველი და დამაბული მოქმედების შემდეგ, ავანსცენაზე აიდას შემსრულებელი გამოჩნდა. ემოციურად დაღლილობა ეტყობოდა, რაც ანაზღაურდა ყოველი მხრიდან ხმამაღალი ტაშით, ოვაციებით, ბრავოს შეძახილებით. ყველა წამოდგა. აიშალნენ, ალაპარაკდნენ... მეც ხალხში გავერიე, რათა სხვების შთაბეჭდილებებიც მომესმინა, რას იტყოდნენ ოპერის პერსონაჟზე, რომელმაც არამარტო მე, სხვაც ბევრი მოხიბლა და დააჰიპნოზა.

არ ყოფილა კამათი იმის შესახებ, თუ რა ღირსებები და ნაკლოვანებები გააჩნია ვერდის მიმდინარეობას მუსიკაში, იქ მტკიცედ ითქვა ერთი რამ, რომ ვერდის და მისი მიმდევრების ღირსება იმაში

მდგომარეობს, რომ მათ სურთ მუსიკა ხელოვნების სხვა სფეროებში გადაიყვანონ, ისე, როგორც მაგალითად პოეტს უნდა აღწეროს სახის ნაკვთები, ეს ფერმწერის საქმეცაა და მოქანდაკის გასაკეთებელიც, რომელმაც მოისურვა გამოკვეთოს მარმარილოდან პოეტური სახეები, რომლებიც აღმართულან კვარცხლბეკზე პოეტის ფიგურის ირგვლივ... აი, სწორედ თბილისის ოპერის სცენა იქცა ცისანა ტატიშვილისთვის იმ პიედესტალად, რომელზეც ვერდიმ, როგორც მოქანდაკემ მისი საშუალებით გამოკვეთა აიდა, ამნერი-სი, ებოლი, ლეონორა, ამელია, რომელი ერთი ჩამოვთვალო....

ცისანა ტატიშვილის შემოქმედება გვარწმუნებს, რომ ხელოვნება ერთია, მას შეუძლია უმაღლეს გამოხატულებას მიაღწიოს ყოველი დარგის შერწყმით...



-ც.ტ. „ჩემი ბავშვობა და სიყმაწვილე თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში, სოლოლაკში გავატარე. დედაჩემი ქეთევან ზანდუკელი, ულამაზესი ქალბატონი, მარტო გვზრდიდა მე და ჩემს ძმას. მისი მონაყოლით და მოგონებებით ვიცნობდით და გვიყვარდა მამა-ბებუნ ტატიშვილი.

დედაზე ოცი წლით უფროსს, თავის დროზე პარიზში სილამაზის კონკურსში გამარჯვებულს, ირკუტსკში ჰქონდა სამხედრო განათლება მიღებული, მაგრამ მაინც სამშობლოში დაბრუნდა და ერთ ხანს სამხედრო კომისარი იყო. ბოლოს კი სახელმწიფო უნივერსიტეტში სამხედრო კათედრას ხელმძღვანელობდა.



მშობლები: ქეთევან ზანდუკელი, ბეჟან ტატიშვილი

ერთ ავბედით საღამოს, სუსხიან 30 დეკემბერს, მეუღლისა და ახალდაბადებული ქალიშვილის მონახულების შემდეგ, მამა სახლისკენ გაემართა. ამის შემდეგ, ის აღარავის უნახავს. მოგვიანებით გაიგო დედამ, რომ მისი მეუღლე დააპატიმრეს, გადაასახლეს და შემდეგ დახვრიტეს. დედა მეორედ აღარ გათხოვილა, იმდენად დიდი იყო მისი სიყვარული.

საკმაოდ გვიჭირდა. დედა მარტოლმარტო გვზრდიდა. მე-3 კურსზე სწავლისას იძულებული გახდა უნივერსიტეტისთვის თავი დაენებებინა და მუშაობა დაეწყო. ასეთი რთული ცხოვრების მიუხედავად, დედაჩემი სულიერად ძლიერ, კეთილშობილ ადამიანად დარჩა. ის, ჩვენც გვინერგავდა სიკეთესა და ერთმანეთის სიყვარულს. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ მას შეილების აღზრდაში იოტი-




ძმა - გოგი ტატიშვილი

სოდენა შეცდომაც კი არ დაუშვია. სამაგალითო დედ-მამისშვილები ვიყავით ყოველთვის მე და ჩემი ძმა, ჩემი გოგი. გოგი ტატიშვილი ყოველთვის იყო ჩემთვის სანიშნუი და მისაბაძი პიროვნება. ბედნიერი ვარ, რომ სწორედ მისი რჩევით გაავხდი მომღერალი. მე, არ მყოლია მასზე უფრო მხურვალე გულშემატკივარი. ჩემთან ერთად განიცდიდა თითოეულ ჩემს გამოსვლას და ეამაყებოდა ყოველი ჩემი წარმატება. უზარმაზარი სიცარიელე დამითოვა გულში გოგის უდროოდ წასვლამ, რომელსაც

მხოლოდ მისი ოჯახი მივსებს, მეუღლე მანანა საბაშვილი, შვილები ბეჟანი და ქეთევანი, შვილიშვილი გიორგი...

ჩემი კიდევ ერთი დიდი გულშემატკივარი იყო ჩემი გოგი თოთიბაძე, ჩემი მეუღლე და დიდი მეგობარი, შესანიშნავი ადამიანი, ბრწყინვალე ფერმწერი და დიდი ხელოვანი.

1981 წელს ვიქორწინეთ და შევქმენით ურთიერთგაგებით, სიყვარულით, პატივისცემით გამსჭვალული ოჯახი. არ ვიქნები სუბიექტური თუ ვიტყვი, რომ გოგი მეტად



**მეუღლე - აკადემიკოსი
გოგი თოთიბაძე**

ელეგანტური, განათლებული, მომხიბვლელი ადამიანი იყო. ის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ქართული ენის გრამატიკის შემდგენელის, სილოვან ხუნდაძის შვილიშვილი იყო. გოგი ჩემი შემოქმედების ზუსტი და ობიექტური შემფასებელი იყო, რაშიც ეხმარებოდა მუსიკალური განათლება. მას დამთავრებული ჰქონდა მუსიკალური სასწავლებელი საფორტეპიანო განხრით.

გოგი სულთ ხორცამდე შემოქმედი იყო, გამორჩეული მხატვარი, ამასთან მისაბაძი ორგანიზატორიც, 10 წლის განმავლობაში ის თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი იყო.

დიდი შემოქმედებითი ვნებათაღელვა ახლდა ჩვენს ცხოვრებას. სამი ათეული წლის მანძილზე როგორც მე ვლელავდი მის გამოფენებზე, ისე ის კარგავდა სიმშვიდეს ჩემი სპექტაკლების დროს...”



- “ჩემი თაობისთვის ოპერის თეატრი მეორე სახლი იყო. ფაქტობრივად იქ გავიზარდეთ. განსაკუთრებით ხშირად მე და ჩემი და-მარიკა ვსტუმრობდით ოპერას. თეატრის მთავარი ღირიჟორი ევგენი მიქელაძე ჩვენი ბიძა იყო და გვქონდა ბუნდოვანი მოგვესმინა მსოფლიო კლასიკის შედეგები და იმ პერიოდის ვარსკვ-

ლაგები- პეტრე ამირანაშვილი, დავით გამრეკელი, ბათუ კრავეიშვილი, ნაღეჟდა ხარაძე, მერი ნაკაშიძე... შემდეგ, თეატრში მივიდა ახალი თაობა-ზურაბ ანჯაფარიძე, თამარ თაქთაქიშვილი, მეღვა ამირანაშვილი, ნოდარ ანდღულაძე. მივიდნენ ახალი შემართებით, საინტერესო შემოქმედებითი ძალებით და ჩვენც ვგულშემატკივრობდით მათ. ერთ-ერთი ვიზიტის დროს, ჩვენი სახელოვანი აბესალომი- ზურაბ ანჯაფარიძე უნდა მოგვესმინა სპექტაკლში, ეთერის პარტიას მღეროდა ცისანა ტატიშვილი. გადაუჭარბებლად ვამბობ, რომ სრულიად გოცნებულნი დავრჩით მე და ჩემი მეგობრები, მისმა ძლიერმა და ულამაზესმა ხმამ ქარიშხალივით გადაურბინა სავსე დარბაზს და სპექტაკლზე მისული პუბლიკა უდიდესი ემოციური შთაბეჭდილებების ქვეშ მოაქცია...

იმ დღიდან გავხდი ცისანა ტატიშვილის მუდმივი მსმენელი “აი-დაში”, “ტოსკაში”, “ბალ-მასკარადში”, “პიკის ქალში”, “ოტელოში”, “დონ-კარლოსში” და მისი ხელოვნების დამფასებელი...

ცისანას ხმა შეუფასებელია, შეუდარებელი, მას შეეძლო ემღერა როგორც სოპრანოს, ისე მეცო-სოპრანოს ურთულესი პარტიები. გულახდილად ვამბობ-თავზარდამცემი იყო მისი გამოსვლა მასკანის “სოფლის ღირსებაში”, არაჩვეულებრივ პარტნიორთან ნოდარ ანდღულაძესთან ერთად. ძნელად წარმოსადგენია რომ სადმე, რომელიმე სცენაზე განმეორდეს ეს უბრწყინვალესი დუეტი!

ცისანა არის მოვლენა, კაშკაშა ვარსკვლავი, რომელმაც ასახვლა თავისი სამშობლო, ქართული კულტურა და მწეინს, რომ უარი თქვა ბევრ საერთაშორისო კონტრაქტზე გადასულიყო ევროპულ თეატრებში. მას რომ ეს ნაბიჯი გადაედგა, მსოფლიო საოპერო სამყაროში დიდ რეზონანსს გამოიწვევდა. ის ფანტასტიკურია, სრულყოფილი, საოპერო სიმღერის მეტრი და გამიხარდა, რომ დააფასეს მისი ღვაწლი და მშობლიური თეატრის წინ გაუხსნეს ვარსკვლავი.


ცისანასნაირი ვარსკვლავები ერთეულები არიან, ასეთები იშვიათად იბადებიან ღვდამიწაზე.

გიგა ლორთქიფანიძე

რეჟისორი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი

ცისანა ტატიშვილი - ფართოდაა ცნობილი მუსიკალურ წრეებში, როგორც საზღვარგარეთ, ისე ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. მშენიერი დრამატული სოპრანო, ფენომენალური, უნიკალური, უიშვიათესი ვოკალური და სცენური მონაცემებით- ასე იცნობენ და ახასიათებენ მას საქართველოში, რუსეთსა და ევროპაში. თავიანთსმცემელთა ურიცხვი არმია, რომელიც მსოფლიოს ყველა კუთხეში მრავლად ჰყავდა, ქალბატონი ცისანას შემოქმედების იმ განსაკუთრებულობას უსვამს ხაზს, რაც მან მთელი კარიერის მანძილზე ქვეყნიდან ყვეყანაში, სცენიდან სცენაზე აჩვენა მილიონობით მსმენელს...

-, შენ დაიდგი დედოფლის გვირგვინი და ისტორიაში შენი სახელი ჩაიწერება ოქროს ასოებით...“, ეს სიტყვები მაესტრო ჯანსუღ კახიძეს ეკუთვნის, იგი ცისანა ტატიშვილის მეგობარი და დიდი



თავიანთსმცემელი იყო:- „ბევრი შესანიშნავი მომღერალი მომისმენია, მაგრამ ცისანასნაირი ხმა ვერცერთ სცენაზე ვერ ვიპოვე“- ასე ამბობდა მაესტრო ჯანსუღ კახიძე ცისანა ტატიშვილზე, ყველა თავის გამოვლაში...

მაესტრო არასოდეს ცდებოდა, იშვიათი და ძალიან დახვეწილი გემოვნებით გამოირჩეოდა, ვერ იტანდა საშუალო დო-

ნეს, უბრალო ხმას, მაქსიმალისტი იყო და მასშტაბური შემოქმედების შემსრულებლებს ეთაყვანებოდა. ესთეტიც იყო, სილამაზე უყვარდა, ყველაფერ მშვენიერს აფასებდა და უფროთბილდებოდა. ამ მხრივ, ცისანა ტატიშვილს არასოდეს მოკლებია მისგან ზრუნვა და ყურადღება... მაესტრო კახიძემ მისთვის აღადგინა და დადგა შეძვეტი სპექტაკლები: - „ბალ-მასკარადი“, „დონ ჟუანი“, „სალომე“, მართავედა საერთაშორისო პრემიერებსა თუ გასტროლებს... რუსეთში, სოციალისტურ ევროპაში, იტალიაში, გერმანიაში, ევროპის სხვა ქვეყნებში... შედეგით მუდამ კმაყოფილი და აღფრთოვანებული იყო, ქალბატონი ცისანას გამარჯვება ამათუიმ წარმოდგენაში მისი გამარჯვებაც იყო და იმ თეატრისა, სადაც ორ ტიტან შემოქმედს თავიანთი გამოსვლებით ალტაცებაში მოჰყავდა მსმენელი...



**საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები -
ცისანა ტატიშვილი და ჯანსუღ კახიძე**

ბავშვობიდანვე ძალიან მუსიკალური და არტისტული ბუნებით გამოირჩეოდა: მღეროდა, ცეკვაავდა, ლექსებს კითხულობდა, ბაძავდა ამა თუ იმ სახელოვან შემსრულებლებს... ერთ დღესაც შემთხვევით, მეზობელთან, თბილისის სახელმწიფო კაპელის ხელმძღვანელ

გიორგი ხახანაშვილთან მოსკოვიდან სტუმრადმყოფმა საგუნდო ღირიჟორმა, მოსკოვის კონსერვატორიის საგუნდო საღირიჟორო კათედრის გამგემ მოისმინა და ქალბატონ ქეთევანს, ცისანას დედას, ურჩია მუსიკის პედაგოგთან მიეყვანათ ხმის გასასინჯად და თანაც დაარწმუნა, რომ გოგონა თუ იმღერებდა, აუცილებლად ასახელებდა მომავალში. ამასობაში ეკრანებზე მუსიკალური ფილმი „დიდი ვალსი“ გამოჩნდა. ქართველმა მაყურებელმა ეს ფილმი გამოსვლისთანავე აიტაცა და შეიყვარა, გამონაკლისი არც 8 წლის ცისანა იყო. მას ამ ფილმის ნახვის შემდეგ უფრო გაუძმაფრდა ინტერესი და სურვილი სიმღერის მიმართ, ცდილობდა მიებადა ფილმის მთავარი პერსონაჟისთვის, რაც სხვათაშორის ოსტატურად გამოსდიოდა...

სწორედ მილიცა კორიუსის შთამბეჭდავობამ გადააწყვეტინა გამხდარიყო საოპერო მომღერალი... ოჯახში ცისანას აზრი საკამათო არ გამხდარა და განხილვას არ დაქვემდებარებია. დედა სიამოვნებით დაეთანხმა ბავშვის არჩევანს, რადგან დარწმუნებული იყო რომ ცისანას სასიმღერო კარიერაში წარმატება ექნებოდა, ამას ხომ სხვებიც ეუბნებოდნენ... ქალბატონი ქეთევანი გახარებული იყო ქალიშვილის დაინტერესებით საოპერო ჟანრის მიმართ და სერიოზულ მხარდაჭერას დაჰპირდა გოგონას... ახლა მეტი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ბავშვის მონღომებას ემღერა, ემღერა ლამაზი, სასიამოვნო ხმით, აბსოლუტურად გულწრფელად, ძალიან თამამად და ბუნებრივად, დამაჯერებლად და ტექსტის შინაარსობრივი შეგნებითა და გააზრებით... დრო გადიოდა და ცისანას ხმის ტემბრი ფერთა პალიტრას იძენდა, მშვენივლოდა და ლამაზდებოდა, მდიდრდებოდა, საოპერო ხმად ყალიბდებოდა. ყველას სჯეროდა, რომ მისი სახით ქართულ საოპერო სცენას ნამდვილი ვარსკვლავი ეზრდებოდა.

უკვე 15 წლის იყო, როცა კონსერვატორიაში წაიყვანეს, იქ ერთ ერთ კონცერტმაისტერს მოასმენინეს, მაგრამ სრულიად უიმედო და საპირისპირო პასუხი მიიღეს, უთხრეს:- „არავითარი საოპერო, ბავშვს საესტრადო ხმა აქვს და იმასაც ვერ ვიტყვი, რამდენად ხარისხიანია ეს ხმა“...

Народный артист Грузинской ССР
 ПРОФЕССОР
 Дмитрий Игнатьевич
АРАКИШВИЛИ
 .. Тбилиси, ул. Лопши, № 65 кв. 2.
 Телефон 3-09-34.

ბიძოცა მთავრები!
 ვინც ამ წერილს ვიპოვებ, წიხნა ქართვოს,
 რა მხარე ვაქნის და პირად წერილს საქართველოს
 კომსო. კვანას სერგე აქვს ჩიობოუ და ბუსიკის
 ერთ ლეკსურს. ბოლოს რამდენიმე, თუ ამისთვის
 მ სათხვევზე
 ვთხოვებ ყველგანაც
 პ. არაქიშვილი

197/2 - 465.

რა გაეწვობოდა, იმედგაცრუებულებმა დატოვეს იქაურობა, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაუყრიათ. ცისანას დედა ეუბნებოდა, რომ პესიმიზმს არ მისცემოდა და სტიმული არ დაეკარგა, აიმედებდა, რომ აუცილებლად იპოვიდნენ ისეთ პედაგოგს, ვინც რეალურად და სწორად შეაფასებდა გოგონას სასიძღვრო მონაცემებს. არ გასულა დიდი დრო და პროფესორ ბოკუჩავას დაუკავშირდნენ, სთხოვეს მოესმინა ცისანა და რაიმე საიმედო ეთქვა. თუმცა... მუსიკოსმა ერთი, რაც ურჩია გოგონას, ის იყო, რომ სხვა საქმეს სწეოდა და სიძღვრაზე ფიქრისთვის დრო არ დაეკარგა! ორგზის გაწბილებულებს იმედი მაინც არ დაუკარგავთ, ბევრი ფიქრისთვის არც დრო ჰქონდათ და დროც არ ითმენდა, ამიტომ ნათესავის პროტექციით მაესტრო სანდრო ინაშვილს (პირველი მურმანი) ესტუმრნენ. მაესტრომ ხმა გაუსინჯა და პირველივე ფრაზების მოსმენისთანავე აღფრთოვანებულმა ტაში შემოჰკრა, გოგონა გულში ჩაიხუტა

და უთხრა- „შენი ლამაზი, ობერტონებით მდიდარი, ძლიერი ხმა მოგცემს იმის საშუალებას დადგე ნამდვილი საოპერო ვარსკვლავი და ჩვენი ქვეყნის სახელი შორს, საზღვრებს გარეთ გაიტანო“. მაშინვე თავის ასისტენტს, გულნარა ქართველიშვილს უხმო და სთხოვა, დაეწყო ცისანასთან მეცადინეობა ვოკალში, თანაც დასძინა, რომ ეს გოგონა შენ აუცილებლად გასახელებსო... დაემშვიდობნენ მანესტროს, მადლობა გადაუხადეს იმედისმომცემი სიტყვებისთვის და გახარებულები გაუდგნენ გზას შინისაკენ. ეჭვიც არ ეპარებოდა დედა-შვილს, რომ ბატონი ინაშვილი თავის სიტყვებში არ ცდებოდა და გადაჭარბებულიც არაფერი იყო მის ნათქვამში.

ც. ტ. -„მეორე დღესვე ჯანო ბაგრატიონთან გამოვცხადდი, რომ საქმის კურსში ჩამეყენებინა ანსამბლიდან წასვლის შესახებ. საოცრად მორცხვი ბავშვი ვიყავი და ამიტომ ქართული ცეკვების შესასწავლად და სცენასთან შესაგუებლად დედამ, დიდი ჯანო ბაგრატიონის ანსამბლში შემიყვანა (ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი), იქ თითქმის ერთი წელი ვცეკვავდი სოლო პარტიებს, ჩემი მეწყვილე საქართველოს სახალხო არტისტი, ბატონი ომარ მხეიძე იყო. ფანტასტიკური წარმატებით გამოვიდიოდი სხვადასხვა კონცერტებში და ქართული ცეკვის გულშემატკივართან ერთად, მანესტრო ბაგრატიონსაც ვახარებდით პლასტიკით, ლამაზი აღნაგობით, ნიჭიერებით, წარმატებით და გრაციოზული ცეკვით. ამიტომ, როცა განუუცხადე, რომ ანსამბლიდან უნდა წავსულიყავი და კონსერვატორიაში სოლო სიმღერის ფაკულტეტზე ჩამებარებინა, ძალიან განაწყენდა, მისი აღშფოთება მისივე სიტყვებში ჩანდა, გულმოსულმა ასე მითხრა:- „ შენც ეხლა ნადეჟდა ხარაძეს არ აჯობო-ო!“ ასე იყო თუ ისე, დავტოვე ანსამბლი და საკუთარი თავი მთლიანად სიმღერას მივუძღვენი”.

ერთწლიანი ინტენსიური მეცადინეობის შედეგად, კონსერვატორიაში წარჩინებით ჩააბარა, გულნარა ქართველიშვილის კლასში. მშვიდად, აუღელვებლად, დიდი მოთმინებითა და მტკიცე ნებისყოფით ეუფლებოდა ვოკალის საიდუმლოებებს და სჯეროდა, რომ მალე დადგებოდა პროფესიულ სცენაზე, როგორც სოლო შემსრულებელი. თითქოს წინათგრძნობა აუხსრულდა, მე-3 კურსზე რომ

იყო, კონსერვატორიის საოპერო სტუდიის ხელმძღვანელმა, კომპოზიტორმა გრიგოლ კილაძემ გადაწყვიტა დაედგა ოპერა „აბესალომ და ეთერი“... იმ პერიოდში, კონსერვატორიაში სოპრანოების არაჩვეულებრივი კონტინგენტი სწავლობდა და სპექტაკლისთვის მათ შორის ოცი საუკეთესო ხმა მოისმინეს, ამ ოციდან კი ეთერის პარტიისთვის ყველაზე უკეთესი- ცისანა აარჩიეს. მე-3 კურსის სტუდენტისთვის, ეს ძალიან დიდი ნდობა იყო მის მიმართ სტუდიის ხელმძღვან-



ელობის მხრიდან, რაც თავად გოგონამაც კარგად იცოდა, ამიტომ მეტი პასუხისმგებლობით დაიწყო ნშირი და ინტენსიური მეცადინეობა პარტიის შესასწავლად. გრიგოლ კილაძე, რომელსაც სპექტაკლი უნდა ედირიჟორა, თავად უტარებდა კონსულტაციებს ახალბედა, ჯერ კიდევ გამოუცდელ მომღერალს და ძალიან იმედინად ელოდებოდა ცისანას დებიუტს სპექტაკლში, რასაც სამწუხაროდ თავად მაესტრო ვერ მოესწრო. პრემიერის დღე რომ მოახლოვდა, გრიგოლ კილაძე გულის შეტევით გარდაიცვალა, ამ სამწუხარო ამბის მიუხედავად, სპექტაკლის ჩაგდება წარმოუდგენელი იყო, ამიტომ სასწრაფოდ მოძებნეს შემცვლელი დირიჟორი და მონაწილეებს წარუდგინეს. ახალგაზრდულ შემადგენლობას პერსპექტიულმა და ნიჭიერმა ადამიანმა, შემდეგში აღიარებულმა მაესტრომ ჯანსუღ კახიძემ უდირიჟორა. კონსერვატორიის ხელმძღვანელობა, სრულიად ვოკალური კათერდა და საოპერო თეატრიდან სტუმრად მყოფი უკვე გამოცდილი შემსრულებლები, სასიამოვნოდ გააკვირვებულები იყვნენ ახალგაზრდების გამბედაობითა და შესანიშნავი სიმღერით. ცისანა ტატიშვილის, იმერი კავსაძის,



გივი წულუკიძის, მერაბ ღონაძის მონაწილეობით, მას მერეც ბევრი აბესალომი აჟღერებულა, როგორც საოპერო სტუდიის, ისე ეროვნული ოპერის სცენაზეც.



ამ სპექტაკლით განისაზღვრა მათი შემოქმედებითი გზა და პერსპექტივა, „აბესალომ და ეთერის“ მოჰყვა „დაისი“, ისევ საოპერო სტუდიაში, მე-4 კურსის სტუდენტი მაროს პარტიაში დააკავეს, საკმაოდ კარგად გაართვა თავი დავალებას, თუმცა მისთვის „დაისი“ პირველი და უკანასკნელი სპექტაკლი იყო. მეორედ აღარასოდეს უძღვრია... ქალბატონი გულნარა ქართველიშვილი რა თქმა უნდა, გახარებული იყო თავისი სტუდენტის მნიშვნელოვანი წარმატებებით, რაშიც მას უდავოდ დიდი წვლილი მიუძღვოდა. ურთიერთგაგებით, პატივისცემით, სიყვარულითა და კეთილგანწყობით გრძელდებოდა მათი ურთიერთობა ოთხი წელი კონსერვატორიაში, ხოლო კონსერვატორიამდე იყო ერთწლიანი მოსამზადებელი პერიოდი. ერთ დღეს მილანის „ლა სკალას“ აკადემიიდან, ქალბატონმა გულნარამ, მიწვევა მიიღო კვალიფიკაციის ასამაღ-

ლებლად და იძულებული გახდა შემოთავაზებაზე თანხმობა ეთქვა. მოკლედ, ცისანა ტატიშვილისა და მისი პედაგოგის ხუთ წლიანი შემოქმედებითი პარტნიორობა, გულნარა ქართველიშვილის მი-
ლანში სტაჟირებაზე გამგზავრებით დასრულდა. მაშინ ცისანა მე-4 კურსზე იყო.

არჩევანის წინაშე დადგა. ბევრმა პედაგოგმა გამოთქვა მასთან მეცადინეობის სურვილი, მაგრამ საბოლოოდ დიმიტრი მჭედლიძის კლასში აღმოჩნდა. მაესტრო მჭედლიძე მასთან მუშაობდა როგორც კონსულტანტი, მანვე მიიყვანა ოპერის თეატრში (დიმიტრი მჭედლიძე იმ პერიოდში ოპერის თეატრის დირექტორიც იყო). შესარჩევი კონკურსის გაგლის შემდეგ ჩაირიცხა თეატრის დასში სოლისტად (სხვათაშორის, შემოქმედებით ნაწილში შტატი არ იყო და იგი მეხანძრედ გააფორმეს), სადაც დახვდა მოქმედი სოპრანოების რამდენიმე თაობის წარმომადგენელი და ის ვითარება, რომელშიც ბრძოლა პირველობისთვის ყოველგვარ წესებს გარეშეა... სამწუხაროდ, უკეთესი შემოქმედებითი მონაცემების გამო, თავდასხმის ობიექტი ბევრჯერ ყოფილა, თუმცა საბედნიეროდ მისი დამარცხება ძნელი აღმოჩნდა მათთვის, ვინც ერთხელ მაინც სცადა მის წინააღმდეგ მოქმედება და პროფესიულ კარიერაში ხელისშემშლა...

ც. ტ. -,დიმიტრი მჭედლიძე, მა-
ლეკე შეცვალა კომპოზიტორმა არ-
ჩილ ჩიმაკაძემ. მე რა თქმა უნდა
უკვე დასის სრულუფლებიანი წევრი
ვიყავი და რამდენიმე სპექტაკლშიც
ვმღეროდი პარტიებს, მაგალითად
„ტრავიატა“-ში ფლორას და „თავად
იგორ“-ში ვივჩად გოგონას. ცხადია,
მეორეხარისხოვან როლებში ვერც
ხმას ვაჩვენებდი და არც იმის საშუ-
ალება მეძლეოდა დრამატულად გამე-
კეთებინა როლი, ამიტომ ჩათვალეს,
რომ პროფესიულად გამოუსადეგარი



ვარ და დაღვა საკითხი თეატრიდან ჩემი გაშვების. დაიწერა ბრძანება და ხელმოსაწერად იღო დირექტორის კაბინეტში. ამის შესახებ მე არაფერი ვიცოდი, ჯანსუღ კახიძემ მითხრა, რომელიც თავადაც ახალი მოსული იყო თეატრში და ჩემი დაცვა არ შეეძლო, ამიტომ დასახმარებლად მან, პეტრე თომაძემ და შოთა კიკნაძემ, ბატონ თენგიზ მუშკუდიანს მიმართეს. უამბეს, თუ რა საფრთხის წინაშე ვიდექი და ჩემს გადასარჩენად, მისი ავტორიტეტის გამოყენება სთხოვეს.

თენგიზი, იმ დროს უკვე ძალიან პოპულარული და აღიარებული არტისტი იყო, დეპუტატიც იყო, ერთი სიტყვით არ დაიზარა და



ისიც ჩვენს გვერდით დაღვა. მის სიტყვას რეალურად შეეძლო გადაეწვევია ჩემი ბელი. თენგიზი მივიდა დირექტორთან და უთხრა, არავითარ შემთხვევაში ბრძანებისთვის ხელი არ მოეწერა, ვიდრე მე არ მომისმენდა. მართლაც, რამდენიმე დღეში დეპოში გაიმართა სამთავრობო კონცერტი, გამოვედი და ვიმღერე არდიტის „ვალსი“, მე ვხედავდი, არჩილ ჩიმაკაძის კმაყოფილ გამომეტყველებას, თუ როგორი სიამოვნებით მისმენდა... მოგვიანებით აღუნიშნავს თენგიზთან საუბარში: - „კინალამ გამოუსწორებელი შეცდომა დავუშვი, როცა სხვების ნათქვამი დავიჯერე, თითქოს ცისანა პროფესიულად

უვარგისი მომღერალია” - და მადლობა გადაუხადა თენგიზს, რომ ჩემი სახით არაჩვეულებრივი კადრი შეუნარჩუნა თეატრს”.

მართლაც, თენგიზ მუშკუდიანს, არაჩვეულებრივ პიროვნებასა და ერთგულ მეგობარს უმადლის ცისანა ტატიშვილი, წარმატებული კარიერის დასაწყისს, ერთ თვეში მომღერალმა ოპერის სცენაზე შეასრულა ეთერის პარტია და პირველი დიდი წარმატებაც მოიპოვა, რასაც მოწმობს იმ დროინდელი პრესა, მუსიკალური კრიტიკა. დებიუტი ეთერის პარტიაში დიდ პროფესიულ სცენაზე, იმავე საღამოს გულწრფელად და გულითადად მიულოცა სატელეფონო ზარით საქართველოს სახალხო არტისტმა ქალბატონმა ნადეჟდა ცომაიამ და საყვარელ საქმეში ბევრი ასეთი გამარჯვება უსურვა. ამ ღვაწლმოსილი, უადრესად დიდი პროფესიონალი მომღერლის სიტყვები, რასაკვირველია, დასაფასებელი იყო, დიდი სტიმული და მხარდაჭერა დამწყები, ჯერ კიდევ გამოუცდელი ვოკალისტი სთავის. რადგანაც უფროსი თაობისგან დებიუტშივე ქება დიდება დაიმსახურა, ეს იმას ნიშნავდა, რომ სხვა სპექტაკლებშიც გამოიჩენდა თავს და წინ გასაკვლელ დიდ და ურთულეს შემოქმედებით გზას პროფესიული სრულყოფილებითა და სიახლეებით გააგრძელებდა და მიაღწევდა მნიშვნელოვან შედეგებს. დასახული მიზნისთვის არასოდეს უღალატია, რაც არ გამოპარვია მაესტრო ჯანსუღ კახიძეს და ცისანა მოცარტის „დონ-ჟუანი“ დონა ანას პარტიაზე დანიშნა. – სპექტაკლის დამდგმელი, მარიას თეატრის მთავარი რეჟისორი, ემილ პასინკოვი, მხატვარი სოლიკო ვირსალაძე, (დონა ანას პარტია ქალბატონმა ცისანამ ვაჟა ჩაჩავასთან მოამზადა). თბილისში, საპრემიერო ანშლაგების შემდეგ, „დონ-ჟუანი“ პეტერბურგში, მარიას საიმპერატორო თეატრშიც დიდი წარმატებით ჩატარდა. საოცრად გემოვნებიანმა, დახვეწილმა და თავშეკავებულმა პეტერბურგელმა პუბლიკამ ყურადღება მიაქცია დონა ანას შემსრულებლის მომნუსხველ, ექსპრესიულ, შეიძლება ითქვას სტიქიურ, მაგრამ ამავე დროს ძალიან ლირიკულ, ელასტიურ, მომაჯადოებელ, ულამაზესი ფერთა გამით გამდიდრებულ დრამატულ სოპრანოს და უხვად უკრავდნენ ტაშს ელევანტურ, არტისტულ, უმშვენიერეს ქართველ სოპრანოს ცისანა ტატიშვილს...

ამ გამოსვლამ განაპირობა მომავალში არაერთგზის გასტროლირება მარიას სახელოვან თეატრში, რა თქმა უნდა იტალიური, გერმანული, რუსული კლასიკური რეპერტუარით...

- „ჩვენ ერთად „ღონ-ჟუანის“ მზადების პროცესში ვიმუშავეთ.



„ღონ-ჟუანის“ პრემიერის შემდეგ - სოლიკო ვირსალაძე, ოლდა კუზნეცოვა, ნათელა ტუღუში, ჯანსუღ კახიძე, ცისანა ტატიშვილი

გამაოგნა მისმა მშვენიერებამ, თავმდაბლობამ, პროფესიულმა პასუხისმგებლობამ და სრულყოფილმა ვოკალურმა ტექნიკამ, უღამაზესმა, მუქი შეფერილობის იშვიათმა დრამატულმა სოპრანომ, რომელსაც ვირტუოზულად ფლობს. მისი ხმა ყველა რეგისტრში თავისუფლად ჟღერს, რაც გულშემატკივარის სიმრავლეს უწყობს ხელს. მისი აღნაგობა და ხიბლი, ჩემს მიერ შექმნილ სცენიურ კოსტიუმებს ორმაგ სილამაზეს სძენს. მე ბედნიერი ვარ, რომ ვიმუშავე ამ სპექტაკლზე, გავიცანი და დავუმეგობრდი ქართველ საოპერო პრიმა ღონას ცისანა ტატიშვილს“.

სოლიკო ვირსალაძე



- „ცისანა ტატიშვილი დარწმუნებული გრძნობდა თავს მეუფედ დაპყრობილი აუდიტორიისა და თავისი გმირული ამპლიტუდებით ფრიად ხატოვან კონტრასტს ქმნიდა სპექტაკლში მომდერალ ქალთა ქართულ თაიგულში... როგორი მშვენიერია ცისანა ტატიშვილის დონა ანა, იგი აჯადოვებს მსმენელს თავისი ფილიგრანული ოსტატობით...!“

ჟურნალი „მუსიკალური პეტერბურგი“

- „მასზე საუბარი თითქმის შეუძლებელია, მასზე უკვე ყველაფერი ითქვა მისივე შემოქმედებით... ცისანა ტატიშვილი ფლობს სილამაზითა და დიაპაზონით გამორჩეულ, განსაკუთრებულ ხმას, რაც უფლებას მძლევს შევადარო იგი, მსოფლიოში სახელგანთქმულ, მუსიკალობისა და არტისტული ტემპერამენტის მქონე მომდერლებს...“



დოდო ალექსიძე

რეჟისორი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი

-„როცა ახალგაზრდა ჯანსუღ კახიძემ, არაჩვეულებრივმა პეტერბურგელმა რეჟისორმა ემილ პასინკოვმა და დიდმა მანესტრომ სოლიკო ვირსალაძემ, დადგეს მოცარტის „ღონ ჟუანი“, სიამაყით აღსავსე წლები იყო.

ცისანა ტატიშვილი მოვლენასავით აელვარდა ამ სპექტაკლში და იქედან დაიწყო მისი უდიდესი წარმატებებით გაბრწყინებული გზა...”

გურამ მელია

რეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი



-„დიდმა მანესტრომ ალფრედო კრაუსმა როცა მისი ხმა და სიმღერა მოისმინა თქვა, რომ -„იგი, ტებალდიზე უფრო ტებალდია...“. მე კი ცისანა ტატიშვილს ვუწოდებ ქალთა ორფეოსს-ყველაფერის დამტევს თავის ხელოვნებაში“- ამბობს გამოჩენილი მომღერალი ნოდარ ანდღულაძე, ცისანა ტატიშვილის სცენიური პარტნიორი და მისი შემოქმედების ერთ-ერთი მხურვალე გულშემატკივარი და შემფასებელი, გენიალური სოპრანოს წარმატებებისა და სიხარულის გამზიარებელი

ევროპისა თუ ყოფილ საბჭოთა სცენებზე...

ცისანა ტატიშვილის ბრწყინვალე სცენიურ შემოქმედებაზე, სრულიად უნიკალურ, შეიძლება ითქვას დეფიციტურ დრამატულ სოპრანოზე, შთამბეჭდავ არტისტიზმზე, ემოციურ და საკმაოდ სტიქიურ საოპერო პერსონაჟებზე, რომელთა ხასიათის გამოსახვაში მას ეხმარებოდა კეთილშობილი ხმა, და სცენიური ოსტატობა, გამოცდილება, ნიჭი, არტისტიზმი, საკმაოდ ვრცლად და დამაჯერებლად საუბრობენ თავიანთ რეცენზიებში, ადგილობრივ თუ

საზღვარგარეთულ გამოცემებში, ცნობილი და სიტყვაძუნწი მუსიკალური კრიტიკოსები. საბერძნეთში - მარია კალასს ადარებდნენ, ესპანეთში - ვიქტორია დე ლოსანპელსს, იტალიაში - რენატა ტეზალდის, უფრო ხშირად კი დიდ მსგავსებას ხედავდნენ ცნობილ ბულგარულ მომღერალს გენა დიმიტროვასა და ქართველ პრიმა დონას ცისანა ტატიშვილს შორის, ხმების, ექსპრესიის, სტიქიური შესრულების, ემოციური და რთული რეპერტუარის თვალსაზრისით (მე დავამატებდი, ერთნაირად მომხიბვლელი, ლამაზი სცენიური აღნაგობით). მართლაც, ვერ დაიტრახავს ბევრი მსოფლიო მნიშვნელობის საოპერო ვარსკვლავი იმ რეპერტუარით, რომლითაც ქალბატონ ცისანას შემოვლილი აქვს მსოფლიო... სადაც ერთხელ იმღერებდა, იქ მეორედაც იწვევდნენ, ეს არცაა გასაკვირი, რადგან რთულია შევლიო მომღერალს, რომელიც სპექტაკლზე მოსულ



**ჯ. პუჩინი - ოპერა „ტოსკა“
ნოდარ ანდლულაძე და ცისანა ტატიშვილი**

პუბლიკას ფეხზე წამოაყენებს და აიძულებს მათ უპრეცედენტოდ ხანგრძლივად მიუძღვნან აპლოდისმენტები და ოვაციები... თითხე ჩამოსათვლელია ჩვენს პლანეტაზე ასეთი შემსრულებლები, კალასისა და მისი თანამედროვე რამდენიმე მომღერლის შემდეგ,

იშვიათად რომ ვინმესთვის გაემეტებინათ განუწყვეტელი ტაში და შეძახილები, ქალბატონი ცისანა კი ამ მხრივ ყოველთვის განებივრებული იყო მსმენელისგან და თავს ბელნიერ ადამიანად თვლის, რომ ბევრი ასეთი შემოქმედებითი ეპიზოდი აქვს გასახსენებელი. თუმცა იყო გულისტკენაც, რასაკვირველია იმ ეპოქის გამო, რომელშიც ცხოვრება მას უწევდა. სასტიკმა საბჭოთა რეჟიმმა მომღერალს ბევრ რამეში შეუშალა ხელი.

იყო შემოთავაზებები და კონტრაქტები გერმანული, ფრანგული, ინგლისური, ესპანური, იტალიური თეატრების ხელმძღვანელების მიერ. სთავაზობდნენ „კოვენტ გარდენში“, „გრანდ ოპერაში“, „ლისეოში“, ათენის ეროვნულ ოპერაში, გერმანიაში-მიუნჰენის, ბერლინის, კიოლნის, ბაზელის, ბონის თეატრებში, პორტუგალიაში, ავსტრიაში, შვედეთში დარჩენას და კარიერის იქ გაგრძელებას, მაგრამ სამწუხაროდ, ისევ და ისევ დაუნდობელი რეჟიმის გამო, ყველა შემოთავაზებაზე უარი განაცხადა და შეეგუა იმ მდგომარეობას, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა საბჭოთა კავშირის მმართველობა მის წასვლას ქვეყნიდან და რეალურად ასე მოხდა კიდევ, ყველა გზა, რომელიც კი მას საშუალებას მისცემდა ქვეყანა დაეტოვებინა, მკაცრად გაკონტროლებული იყო უშიშროების მიერ...

- ც.ტ. „ერთ-ერთი საგასტროლო ტურნეს დროს გერმანიაში, მიუნჰენში ვიმღერე ოპერა „ტოსკა“, სპექტაკლის შემდეგ ჩემთან შემოვიდნენ ბაზელის, კიოლნის, ბერლინისა და ბონის თეატრების დირექტორები და შემომთავაზეს მათ თეატრებში მემღერა „ტრუბადური“. “გოს-კონცერტთან” შეუთანხმებლად მათ ვერ დავთანხმდებოდი და როცა დავრეკე მოსკოვში, ასეთი პასუხი მივიღე: „დაბრუნდი, თორემ ვედარასოდეს ეღირსები ვერცერთ გასტროლს...“



**ჯ. ვერდი - „ტრუბადური“
ლენორა**

ძალიან კი დასწყდა გული, მაგრამ სპონტანურ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა, რადგან კარგად იცოდა საგასტროლოდ ევროპაში წასული და იქ დარჩენილი დიდი თეატრის რამდენიმე სოლისტის ოჯახის წევრთა ბედი, თუ როგორ სასტიკად გაუს-



**ჯ. ვერდი - ოპერა „ღონ კარლოსი“
ელდარ გეწაძე და ცისანა ტატიშვილი**

წორდა იმჟამინდელი „კაგებუ“ მათ... ააწიოკეს, დააპატიმრეს და ა.შ. სწორედ ეს იყო ხელისშემშლელი ფაქტორი, რის გამოც საბოლოოდ ჩაიქნია ხელი და შეეგუა იმას, რომ მისი პროფესიული პერსპექტივა მხოლოდ საბჭოთა კავშირის საზღვრებით შემოიფარგლებოდა, ხოლო თუ „გოს-კონცერტი“ ინდივიდუალურად, ან შემსრულებლების ჯგუფთან ერთად გააგზავნიდა ევროპულ ტურნეში, უსათუოდ მალევე უკან უნდა დაბრუნებულიყო, თუმცა ბუნებით ერთგულს და პატრიოტს, როცა მოსკოვის დიდ თეატრში გადასვლა შესთავაზეს, უარი თქვა. უარი თქვა ასევე პეტერბურგის საიმპერატორო თეატრში გადასვლაზეც, თბილისის, ჩემი ოჯახის, მეგობრების, საყვარელი თეატრის გარეშე ცხოვრებას სხვაგან ვერ შევძლებდიო, - სიამაყით ამბობს ხოლმე მომღერალი.

ეს მის დიდბუნოვნებასა და კეთილშობილებას კიდევ მეტად უსვამს ხაზს და იმასაც ადასტურებს, რომ პატრიოტიზმი კეთილდღეობაზე წინ იდგა მისთვის.

- ც.ტ. საკუთარი კეთილდღეობისთვის არ გავწირავდი ოჯახს, ახლობლებს, ბევრი მაცდუნებელი შემოთავაზების მიუხედავად, ვერც სამშობლო დაეტოვებ და არც ოჯახი გავიმეტებ სამუდამო წვალებისთვის. დავრჩი საქართველოს, ჩემი თბილისის ერთგული და ამით სრულიად კმაყოფილი ვარ... კმაყოფილი ვარ იმითაც, რომ მიცნობენ და ვუყვარვარ მსმენელს, არაფერში გავცვლიდი ამ სიბოხსა და სიყვარულს, მატერიალური კეთილდღეობა წამიერია, ხალხის სიყვარული კი მუდმივი... მახსოვს, გერმანიაში „აიდა“ ვიძღერე. სპექტაკლს პარიზის „გრამდ-ოპერის“ ინტენდანტი ესწრებოდა, სპექტაკლის დამთავრებისთანავე იგი მოიყვანეს ჩემთან: „თქვენ უიშვიათესი სოპრანო გაქვთ, უნდა იმდეროთ დიდ სცენებზე, მილანში, ლონდონში, პარიზში... მე შემიძლია დაგეხმაროთ და გაქციოთ მსოფლიო მნიშვნელობის ვარსკვლავად, თუ დამთანხმდებით და გამოძევებით პარიზში არაჩვეულებრივ პირობებს შეგიქმნით, იმისთვის, რომ თქვენი ხმა მსოფლიოში ისმოდეს...“ - და როცა გა-





დიოდა საგრიმიოროდან, კიდევ გაიმეორა, დილით, 6 საათზე, სასტუმროს ეზოში დაგელოდებამთ მანქანა, რომელიც პირდაპირ აეროპორტში მოგიყვანთ, იქ მე დაგხვდებით და ერთად გავემგზავრებითო...”

რასაკვირველია, ამ შთამბეჭდავ შემოთავაზებაზე დაფიქრდა მომღერალი და რომ წარმოიდგინა, რამდენად დიდი ბედნიერებაა ადამიანისთვის ცხოვრობდეს საზღვრებს გარეშე, თავისუფლად, საკუთარი ნებასურვილით, უკეთესი პროფესიული აწმყოთი და მომავლით,

მოსვენება დაკარგა და კინაღამ „საბედისწერო“ გადაწყვეტილება მიიღო. სამგზავრო ჩანთა უკვე გამზადებული ქონდა, როცა სასტუმროს ნომერში პირველი ზარი გაისმა, აკანკალებული ხელით აიღო ყურმილი, საიდანაც „გრანდ-ოპერას“ ინტენდანტის დამაპიპნოზებელი ტემბრი ისმოდა-„მანქანა უკვე გელოდებამთ, ახლა თქვენზე დამოკიდებული, გინდათ ისევ ტყვეობაში გააგრძელოთ ცხოვრება? მაშინ დარჩით, თუ არა და გაბედეთ, სხვა საბჭოთა ემიგრანტების მსგავსად და გახდით კიდევ ერთი პროტესტანტი თქვენი ქვეყნის სასტიკი რეჟიმის მიმართ, არ არის დიდი ფიქრი იმისთვის საჭირო, რომ უნდა წამომყვეთ პარიზში...”



თითქმის გადაწყვეტილიც ჰქონდა ჩასულიყო პარიზში, მაგრამ ფაქტის წინაშე რომ დადგა, ისევ ოჯახი დაუდგა თვალწინ, მაგრამ რომ წარმოიდგინა რამდენად დიდი რისკი იყო ქვეყნის დატოვება და მისი წასვლით როგორ საფრთხეს შეუქმნიდა აქ დატოვებულ ძმას, მაშინვე გამოუცხადა საკუთარ თავს, რომ მსოფლიო დიდებზე უარი უნდა ეთქვა. ამასობაში ირიჟრაჟა კიდევ და მანქანამ, რომელიც სასტუმროს ეზოში დილის ექვსი საათიდან ელოდა, 9 საათზე, ცისანას გარეშე დატოვა იქაურობა. ქალბატონი ცისანა კი დამშვიდებული, თავისი გადაწყვეტილებით კმაყოფილი და ბედნიერი, მოსკოვს გაემგზავრა და „დიდ თეატრში“ „აიდას“ სამი საპრემიერო სპექტაკლი იმდერა...



ჯ. ვერდი - ოპერა „აიდა“
ელენა ობრაზცოვა და ცისანა ტატიშვილი

სწორედ იმ სპექტაკ-
 ლში მოისმინა პირვე-
 ლად მსოფლიო ბალე-
 ტის მეგა ვარსკვლავმა
 მარის ლიეპამ, რომელიც
 აღფრთოვანებული
 ლაპარაკობდა თავის
 საგახეთო ინტერვიუ-
 ში სპექტაკლის მერე:-
 „ცისანა ტატიშვილის
 იტალიური ტემბრის ხმამ
 სრულიად მომწუსხა და
 მომაჯადოვა, იგი საო-
 პერო ხელოვნების მარ-
 გალიტია, რომელსაც ძალიან უნდა გავუფრთხილდეთ და მოვუარ-
 ოთ. როცა შევედივარ რეპეტიციაზე საბალეტო დასთან, ყოველთვის
 ვეუბნები მოცეკვავეებს, იცეკვეთ ისეთივე გრძნობით, როგორც
 მღერის ცისანა ტატიშვილი და თქვენ აუცილებლად მიაღწევთ დიდ
 წარმატებას...!!!“



გენიალური მოცეკვავისა და პედაგოგის, მარის ლიეპას ეს უნი-
 კალური და გულწრფელი პროფესიული კომპლიმენტი, რომელიც
 იმ ეპოქის ყველა წამყვანი გახეთის ფურცლებზე იყო დაფიქსირებუ-
 ლი, წიგნის მზადების პროცესში აღმოვაჩინე... ასეთი შთამბეჭდავი
 რეცენზიები, დახასიათებები, კოლეგების ნაახრევი, საინტერესო
 ცხოვრებისეული თუ შემოქმედებითი ეპიზოდები, 40-წლიანი სცენ-
 იური მოღვაწეობის მანძილზე ბევრი ყოფილა. ცხადია, ძნელია
 ერთ წიგნში დატოო სახელგანთქმული ქართველი დრამატული სო-
 პრანოს ბიოგრაფია, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან მოვლენებს
 განვლილი შემოქმედებითი ცხოვრებიდან...

„ჭეშმარიტი საოპერო მომღერალი ჯერ კიდევ სცენაზე გასვ-
 ლის მომენტამდე იმსჯვალემა შესასრულებელი პარტიის არსით-
 ასეთია ცისანა ტატიშვილი. იგი მთლიანად შედის თავისი გმირის
 „მე“-ში, ანუ მის ბუნებაში და სცენაზე ყოფნისას განსაკუთრებით



იცავს სამსახიობო ოსტატობის ერთ-ერთ გარდაუვალ კანონს-წამითაც არ გამოეთიშოს როლს, მის მიერ ვოკალურად და სცენიურად გამოსაძერწ მხატვრულ სახეს!

ცისანა ტატიშვილი მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით ქმნის ერთიან, მხატვრულად დამაჯერებელ, რეალისტურ მუსიკალურ სახეებს, რაც მხოლოდ ხანგრძლივი და დაკვირვებული მუშაობისა და პრაქტიკული გამოცდილების შედეგად მიიღწევა,

ამიტომაც არის, რომ ყოველი მისი გამოსვლა უდიდესი წარმატებით მთავრდება!”

ვახტანგ ტაბლიაშვილი

რეჟისორი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი

- „ტოსკა, ლეონორა, აიდა-ცისანა გეგონებათ თვით ბუნების მიერაა ამ როლებისთვის გაჩენილი. იგი ბევრჯერ ყოფილა ჩემი პარტნიორი. შესანიშნავმა გარეგნობამ, არტისტულობამ, ხმამ, ინტენსიურმა შემოქმედებითმა ზრდამ, არ შეიძლება არ გაგიტაცოს. ფართო დიაპაზონი საშუალებას აძლევს მას, თანაბარი შთამბეჭდავი ძალით განასახიეროს როგორც დრამატული, ისე ლირიკული წამყვანი როლები...”

პეტრე ამირანაშვილი

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი



**ჯ. ვერდი - ოპერა „აიდა“
პეტრე ამირანაშვილი და ცისანა ტატიშვილი**



- „ჩემი ცხოვრების გზაზე ბევრი საყურადღებო მოვლენის მოწმე ვარ, მრავალ საინტერესო ადამიანს შევხვდებივარ, ჩემს საყვარელ ხელოვნებასთან დაკავშირებით განმიცდია არა ერთი მძაფრი სულიერი მღვლეარება, რომელთა დავიწყება შეუძლებელია. ერთ-ერთი ასეთი აღტაცება განვიცადე მაშინ, როცა ჩემს საიუბილეო კონცერტში სრულიად ახალგაზრდა ცისანა ტატიშვილთან ერთად დუეტი ვიმღერესულ მემანსოვრება აღფრთოვანებული მსმენელის ოვაცია და აპლოდისმენტები, რომელიც ეძღვნებოდა მშვენიერ სოპრანოს...”

დავით გამრეკელი

საქართველოს სახალხო არტისტი



**ჯ. ვერდი - ოპერა „ოტელო“
დებდემონა**



**ჯ. ვერდი - ოპერა „აიდა“
აიდა**

-„ყოველ დროს თან მოაქვს ახალი ხასიათები, ახალი ელფერი-ით, მრწამსით. ყოველ პერიოდს ჰყავს თავისი გმირები სცენაზე თუ ცხოვრებაში... ერთ-ერთი მათგანი ცისანა ტატიშვილია...! იგი დაჯილდოვებულია აქტიური შემოქმედებითი პოტენციალით... როცა მღერის ირგვლივ აღარაფერი არსებობს-არც დარბაზი, არც მაყურებელი. თავდავიწყებით უსმენს ყველა მას!”

ბათუ კრავეიშვილი

საქართველოს სახალხო არტისტი

„საკუთარ კარიერაზე ნაკლებად ზრუნავს ქართველი ადამიანი. შეიძლება მისთვის უმნიშვნელო საქმეს მიაქციოს ყურადღება და თავისი საზრუნავი გვერდით გადადოს, მე ვგულისხმობ კარგ ქართველებს, ასეთია ცისანა ტატიშვილი.

„ცეცხლოვანი ანგელოზი“ უნდა დამედგა, პროკოფიევის საიუბილეო წელი იყო და ჯანსუღ კახიძემ შემომთავაზა ამ ოპერ-



აზე. რასაკვირველია მთავარი პარტია ცისანას უნდა ემდერა. მე ვიცნობდი მას, როგორც შესანიშნავ სოპრანოს, ყოველთვის მხიბლავდა მისი არაჩვეულებრივი ხმა. მუშაობის პროცესში უფრო გამძიმდებოდა სიყვარული მის მიმართ. ცისანა ბედნიერი ქალბატონია, ბედნიერი იყო და ბედნიერია დღესაც, რადგან მან მოძებნა თავის თავში ყველაფერი, თავისუფლებაც და ბედნიერებაც!”

რობერტ სტურუა

რეჟისორი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი

- „ცისანა ტატიშვილის უნიკალური ხმა, ჩემზე მაგიურ ზემოქმედებას ახდენს. სცენაზე ყოველთვის შთაბეჭდავი იყო და მისი გარეგნობა ზედმიწევნით ესადაგებოდა ყველა იმ საოპერო როლს, რაც კი უძლერია თბილისში ან საზღვარგარეთ... მისი გმირები ძალიან ინდივიდუალურები იყვნენ, განსაკუთრებით გამოვყოფ სენტას, ორტრუდას, („მფრინავი ჰოლანდიელი“, „ლოენგრინი“- ვაგ-



ნერი), მსიამოვნებდა მისი სანტუცას მოსმენა („სოფლის პატიოსნება“- მასკანი“), აგრეთვე ტოსკას („ტოსკა“- პუჩინი), ამელიას, ლეონორას, აიდას („ბალ-მასკარადი“, ტრუბადური“, „აიდა“), რომელი ერთი ვთქვა...

ცისანას სალომე (რ. შტრაუსის „სალომე“)

მისი შემოქმედების გვირგვინია, ეს ურთულესი პარტია დიდებულად იმღერა საბჭოთა კავშირის ყველა წამყვანი თეატრის სცენებზე... მისი სახით, ჩვენს თეატრს, ზოგადად, ქართულ ვოკალურ ხელოვნებას, ჰყავს ერთ-ერთი გამორჩეული მომღერალი, რომელმაც ღირსეულად დაიმკვირდა ადგილი იმ ტიტანი მომღერლების გვერდით, ვინც ეროვნულ თეატრში იმ წლებში მღეროდნენ...

ცისანა გულახდილი, გულწრფელი, ძალიან მეგობრული, კეთილგანწყობილი და სიკეთისმქმნელი ადამიანია. ვაფასებ მას, როგორც შესანიშნავ მომღერალს და დიდბუნებოვან ადამიანს... მე მიხარია, რომ ვიყავი მისი პარტნიორი ვაგნერის „ლოენგრინის“ ჰერმან ველეკინდისეულ დადგმაში”.

მედია ამირანაშვილი

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, პროფესორი



-„ცისანა ტატიშვილი უნიკალური დრამატული სოპრანოა. როდესაც ამას ვამბობ, მხედველობაში მაქვს მისი ხმის ბუნება და არა ხმამაღლა სიმღერის უნარი. ცისანას ძლიერ ფორტესთან ერთად შეუძლია არაჩვეულებრივ პიანოზე სიმღერა. მას დიდი გარეგნული მომხიბვლელობა აქვს-შესანიშნავი აღნაგობა, თვალთა მეტყველი ელვარება და სინატიფე. ასეთი მონაცემები ერთად იშვიათად შემხვედრია!

მასთან ერთად მიმღერია „აბესალომ და ეთერში“, „აიდაში“, „სოფლის პატიოსნებაში“, „პიკის ქალში“, „ოტელოში“. მისი პარტნიორობა ძნელია, რადგან მასთან ერთად მაშინ უნდა იმღერო, როცა მაქსიმუმის მიცემა შეუძლია მისთვის, როგორც პარტნიორისთვის...“

ზურაბ ანჯაფარიძე

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი

-ცისანა ტატიშვილი უდავოდ დიდი მხატვრული გაქანების, მტკიცე ნებისყოფის, არტისტული ტემპერამენტის ხელოვანია. აღმაფრთოვანებელია მისი დიდი ოსტატობა, პირადი და სცენიური მომხიბვლელობა, იშვიათი ადამიანური თვისებები, რაც მსმენელის მეხსიერებაში ღვეგენდად დარჩება.

მისი ძლიერი, მოქნილი და გამომსახველი, ფოლადის შემცველობის უნიკალური ხმა, ხმის ემოციური სითბო და ტემბრის სილამაზე, დახვეწილი ფრაზირება, ღრმა ემოციურობა და მაღალი საშემსრულებლო კულტურა თუ ტექნიკა, რიცხვმრავალ აუდიტორიას საკონცერტო ესტრადაზე და საოპერო სპექტაკლებში მუდამ აღაფრთოვანებდა...

ჟღერადობის სირბილე, ინტონაციური სიზუსტე და ფილირების ოსტატობა მაღალ რეგისტრებში ცისანა ტატიშვილის განსაკუთრებულობის მახასიათებელი პროფესიული თვისებებია. მის სიმღერაში გვიზიდავს მყარ სუნთქვაზე აგებული კანტილენა, რომელშიც მქლავნდება მომღერალში ორგანულად შეთვისებული იტალიური ვოკალური სკოლის ძირითადი პრინციპები. სიმღერასთან ერთად ქალბატონ ცისანას ახასიათებს როლის სათანადო სცენიური გააზრება, მელოდიისა და სიტყვის მტკიცე კავშირი.

იგი ნატიფი გემოვნების მუსიკოსია, ცხოვრებაში მეტად სათნო და თავაზიანი ადამიანი, სცენაზე კი მომთხონი და უკომპრომისო. მისთვის მთავარია თავისი პარტიის ზუსტი ცოდნა, როლის მუსიკალურ თვისებებში ჩაწვდომა, კომპოზიტორის ჩანაფიქრის ჯეროვანი გადმოცემა. არასოდეს გავა სცენაზე თუ გამოცდილ ღირიჟორებთან არ შეამოწმებს საოპერო პარტიის ვოკალური მხარის აბსოლუტურად ფლობის ხარისხს. თუმცა, თუ რაიმე ნიუანსს ან შტრიხებს დაამატებს პარტიაში ან სცენიურ მოქმედებაში, აუცილებლად სპექტაკლის წამყვან ღირიჟორებთან და რეჟისორებთან ათანხმებს. მომღერალი ღრმად წვდება კომპოზიტორის ემოციურ-ფსიქოლოგიურ სამყაროს, ითავისებს მის განცდებს მუსიკაში ნაჩვენები ყველა მითითების თანახმად, მერწავს ერთიან, მხატვრულად დამაჯერებელ, რეალურ მუსიკალურ სახეებს, რაც არც თუ ისე ადვილი საქმეა არტისტისთვის. თავის ხასიათს, შეგრძნებების



„ბალ-მასკარადის“ პრემიერის შემდეგ - ცისანა ტატიშვილი, ჯანსუღ კახიძე, მიხეილ თუმანიშვილი, ზურაბ სოტკილაუა

თავისებურებას ისე უფარდებს ამა თუ იმ პერსონაჟის ბუნებას, რომ არც საკუთარ ინდივიდუალურობას კარგავს და არც კომპოზიტიორის თვითმყოფადობას ჩრდილავს, რაც მაღალ საშემსრულებლო ტექნიკას და ოსტატობას გულისხმობს, ეს კი ხანგრძლივი და პრაქტიკული გამოცდილების შედეგად მიიღწევა.

ცისანა ტატიშვილი თანაბარი მხატვრული სრულყოფით, ემოციით, სიღრმითა და არტისტული გაქანებით გადმოგვცემს ყველა დროის, ყველა კომპოზიტორის დიდი თუ მცირე ფორმის ნაწარმოებებს...

ღვაწლმოსილი მაცხტრო, რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი აღნიშნავდა:

-„ცისანა ტატიშვილი, პრესტიჟულ დარბაზებში გამოსაფენი ექპონატია, მთელი თავისი მდიდარი საოპერო პერსონაჟებით... გემოვნებით შერჩეული რეპერტუარი და არისტოკრატიათვის დამახასიათებელი ქარიზმატული გარეგნობა ამის თქმის უფლებას მა-

ძლევს. ეს არ არის გადაჭარბებული, ეს რეალობაა და ამ რეალობას საფუძველს უმყარებს მისი, როგორც შემოქმედის განუმეორებლობა, გენიალურობა, ხმის უნიკალურობა, შესრულების მაღალი კლასი, სცენიური სიდიადე. ცისანა ვირტუოზი მომღერალია, ძალიან ინდივიდუალური, თავისებური, რომელიც კონკრეტულ დროს სხვადასხვანაირად გაწვდის გმირის ხასიათსა და ემოციას... ეს არის ხმა, რომლის მოსმენისთვისაც ღირს სიცოცხლე!”



**ჯ. პუჩინი - ოპერა „ტოსკა“
ცისანა ტატიშვილი და ნოდარ ანდღულაძე**

ც. ტ. - „ერთმანეთზე უკეთესი საოპერო პარტიები მაქვს ნამღერი. ძალიან მიყვარს ჩემი პერსონაჟები და ყოველთვის წარმოვიდგენდი თავს იმ ეპოქის გმირად, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ. ყოველ სპექტაკლში ვითავისებდი ამა თუ იმ პერსონაჟის მნიშვნელობას იმ გარემოში და სიტუაციაში, რომელშიც კონკრეტულ დროს მათ უწევდათ ყოფნა. ყურადღებით ვკითხულობდი ლიბრეტოს და ვცდილობდი დაემსგავსებოდი მათ.“



ჯ. ვერდი - ოპერა „ოტელო“
ცისანა ტატიშვილი და ზურაბ ანჯაფარიძე

მიევარს ჩემი აპელია, ლეონორა, დეზდემონა, ებოლი, აიდა, დონა ანნა, სანტუცა, სალომეა... მენატრებიან... ამ სახეებმა მომიტანა დიდი აღიარება, ხალხის სიყვარული. თუმცა, ყველაზე კომფორტულად, ამნერიისის როლში ვგრძნობდი თავს (ვერდი, „აიდა“), ამნერიისი ჩემი უსაყვარლესი პარტიაა და ძალიან მიძინდევლი. დიდი სურვილი მქონდა აგრეთვე „დონ კარლოსში“, ებოლის პარტიაზე მომესინჯა ძალები და თქვენ წარმოიდგინეთ ძალიან კმაყოფილი დავრჩი, როცა წარმატებით ვიმღერე.

ერთადერთი, რაზეც გული მწყდება, ჯ. ბიხეს „კარმენია“. ჯ. კახიძეს, გადაწყვეტილი ჰქონდა თეატრში დაედგა ეს ოპერა და მისი განხორციელება ბემა თუძანიშვილს შესთავაზა, მაგრამ ბემა გარდაიცვალა და მივატოვე კარმენის პარტიაზე მუშაობა. შემდეგ ითქვა, რომ დადგამდნენ ჯ. პუჩინის „ტურანდოტს“, რობერტ სტურუა აპირებდა ჯანსუღ კახიძესთან ერთად ამ სპექტაკლზე მუშაობას, მაგრამ რობიკომ ვერ მოიცალა, დატვირთული იყო დრამატულ თეატრში და სამწუხაროდ ეს იდეაც ვერ განხორციელდა...

სამაგიეროდ ვიმღერე „ლოენგრინში“ და „მფრინავ ჰოლანდიელში“. სხვათაშორის, ვაგნერის ეს ურთულესი ოპერები, საბჭოთა კავშირის სხვა თეატრებში იშვიათად, ან საერთოდ არ იდგმებოდა, თავისი რთული პარტიტურის გამო. იმდენად რთულად დასამორჩილებელი პარტიებია, რომ ბევრი მომღერალი თავს არიდებდა სიმღერას. არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ მსოფლიოში ერთეული მომღერლები თანხმდებიან ამ ოპერებში მონაწილეობას. მეამაყება, რომ ჩემს თეატრში იდგმებოდა მსოფლიო საოპერო ნიმუშები. „დიდი თეატრიც“ კი ოცნებობდა ისეთ რეპერტუარზე, რაც თბილისის ოპერაში უხვად იყო. მაგალითად შტრაუსის და ვაგნერის ოპერები... მახსოვს „ლოენგრინში“ ორტრუდა უკვე ნამღერი მქონდა, როცა ჰერმან ვედეკინდმა „მფრინავ ჰოლანდიელზე“ დაიწყო მუშაობა, სენტას პარტიაზე შერჩეულიც ყავდა მომღერალი- ოლლა კუზნეცოვა. პრემიერის დღე ახლოვდებოდა და ოთარ თავთაქიშვილი დამიკავშირდა, მთხოვა მივსულიყავი მასთან სამინისტროში. ცხადია, მეორე დღესვე მივედი. კაბინეტში ჰერმან ვედეკინდი დამხვდა. ბატონმა ოთარმა მითხრა:- „ჰერმანი ძალიან

გთხოვს, ისწავლო სენტას პარტია და პრემიერა იმდერო”. გა-
ოცდი, სულ რამდენიმე დღე იყო დარჩენილი პრემიერამდე და რას
მოვასწრებდი?! ვუთხარი, რომ საორკესტრო რეპეტიციები უკვე
მიმდინარეობდა, პრემიერა ახლოვდებოდა, მე კი პარტია არ ვიცო-
დი, როგორ მოვახერხებდი ასეთ მცირე დროში სპექტაკლისთვის
მომზადებას.

მაშინ, ვედეკინდი წამოღვა ფეხზე, მუხლებზე დადგა, ხელი მო-
კიდა და თქვა:- „მას შემდეგ, რაც შენი ხმა გავიგე ჩემო ცისა-
ნა, მინდა, რომ ყველა ჩემს სპექტაკლში შენ იმდერო...”. რაღას
ვიზამდი? იქიდანვე გავეშურე ოპერის თეატრში და ჩემს საყვარელ



რ. ვაგნერი - ოპერა „ლოენგრინი“ - ჰერტრუდა

ტატიანა ღუნენკოსთან ერთად, კონცენტრირებულად შეუდექი
ოპერის სწავლას. რაც შეუძლებლად მეჩვენებოდა, ის შევძელით.
მაქსიმალური მობილიზაციის შედეგად, უმოკლეს დროში, ზუსტად
ორ კვირაში ვისწავლე სენტას პარტია და პრემიერაც ვიმდერე. ამ
სპექტაკლში, შემდეგ უკვე ბევრჯერ მომისმინა გერმანელმა პუბ-



რ. ვაგნერი - ოპერა „ლოენგრინი“ - ჰერტრუდა

ლიკამ, არ დამავიწყდება არცერთი ანშლაგი...”

-ჰერმან ველეკინდის სამშობლოში სპექტაკლების წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. გერმანიაში ტრიუმფალური მოღვაწეობის ბუნებრივი დასტური იყო ის, რომ საბჭოთა რეალობის მიუხედავად, ცისანა ტატიშვილი ევროპის მრავალ თეატრში გასტროლირებდა და თითქმის ყველგან ირღვეოდა საოპერო აუდიტორიის ჩვეული ტრადიციები: სენტას შმაგ შემახილებზე – ცისანა ტატიშვილის უძლიერეს მაღალ ბგერებზე, მსმენელში დაგროვილი ემოციები იხუვლებდა ხოლმე ყოველი აქტის ბოლოს... ხშირი არაა მუსიკალურ თეატრებში ისეთი შემთხვევები, როცა პირველივე მოქმედების შემდეგ მსმენელს გაემართა უსასრულო, მქუხარე ოვაციები, ისეთი, როგორიც „ლოენგრინისა” და „ფრინავი ჰოლანდიელის” პრემიერებზე იყო, როცა ცისანა ტატიშვილი მღეროდა... ჰერმან ველეკინდის მთელი სცენიური კომპოზიცია, მიზანსცენები, ცისანა ტატიშვილის ჰერტრუდა და სენტა, ღრმად გამჯდარი მუსიკაში, ერთიანი, უწყვეტი პროცესის სახით იყო მოცემული ვაგნერის ევროპულ პრემიერებში...

„,თქვენს ხმას განთიადის სხივების ელვარება ჰქონდა. ჩემს



რ. ვაგნერის შვილიშვილი, ცისანა ტატიშვილი, ჰერმან ველდკინდი

თეატრში ასე ბრწყინვალედ ჯერ არავის უძღვრია. არაჩვეულებრივი სიძლიერით მღეროდა ქართული მზე. მეგობრობის, მშვიდობისა და თავისუფლების ნეტარება, ღვთაებრივი სიყვარული - აი ის გრძნობები, რაც აერთიანებდა თეატრში მოსულ უამრავ ადამიანს. თქვენი ჰერმანი მუხლს იდრეკს თქვენს წინაშე, შეუდარებელი! მაღლობა თქვენ და თქვენს საქართველოს“.

ჰერმან ველდკინდი

- ცნობილი რეჟისორის, ფელზენშტეინის მიწვევით, ცისანა ტატიშვილი და ნოდარ ანდლულაძე ცხრა თვის მანძილზე მუშაობდნენ ბერლინის „კომიშე ოპერაში“.

მანმადე კი ამ თეატრში, აიდას პარტიის შემსრულებლის შესარჩევად, კონკურსი დაინიშნა. რეჟისორმა 100-ს სოპრანოზე მეტი მოისმინა, მათ შორის ქალბატონი ცისანა შეარჩია მთავარი პარტიის შემსრულებლად. ხოლო ცისანა ტატიშვილის რეკომენდაციით, ფელზენშტეინმა, რადამესის პარტიაზე ნოდარ ანდლულაძე აიყვანა.

მათ შექმნეს აიდასა და რადამესის დაუვიწყარი სახეები. გერ-



მანელი სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ცისანა ტატიშვილს იშვიათი ტემბრის სოპრანო აქვს და ასეთი მომღერლისთვის მანამდე არასოდეს მოუსმენიათ.

ევროპის ესოდენ სახელგანთქმული თეატრის პრემიერის შემდეგ, დიდხანს ისმოდა იქიდან ქართველი მომღერლების მისამართით გამოთქმული ქებათაქების სიტყვები...

ც.ტ – „რეჟისორმა ფელეზენშტეინმა, სპექტაკლისთვის მზადება რომ დაიწყო, „აიდაში“ მთავარი პარტიებისთვის გერმანიაში მე და ნოდარ ანდლულაძე მიგვიწვია. თითქმის ერთი წელი ვცხოვრობდით იქ, ცხრა თვე გრძელდებოდა რეპეტიციები. დღეში ორი გამოძახება გვქონდა, პარალელურად კონცერტმეისტერთან ვმუშაობდით და გერმანულ ენასაც ვსწავლობდით. დილის შვიდ საათზე მივდიოდით თეატრში და ღამის თერთმეტ საათამდე იქედან ფეხს ვერ ვიცვლიდით. მე ფელეზენშტეინის აპარტამენტში ვიყავი დაბინავებული.

როცა უკვე პრემიერის დღე მოახლოვდა, გადაღლილობისგან და ჩემთვის შეუთავსებელი კლიმატური პირობების გამო, შეუძლოდ გავხდი. სასწრაფოდ წამიყვანეს კლინიკაში, საუკეთესო ექიმმა მიმიღო. მერე გავიგე, რომ ეს ადამიანი ჰიტლერის პირადი მკურნალი ყოფილა. გამსინჯა და მიჩნია დავბრუნებულიყავი თბილისში, რათა ცოტა ხნით დამესვენა, სხვა შემთხვევაში უკეთესად ყოფნის იმედს ვერ მაძლევდა. რამდენიმე დღეა იყო დარჩენილი პრემიერამდე და

ვერაფრით დავუშვებდი მიმეტოვებინა სამუშაო პროცესი და წავსულიყავი. ეს ჩემთვის დიდი ტრაემა იქნებოდა, როგორც მორალური, ისე ფსიქოლოგიური. ამიტომ, კატეგორიულად ვიუარე და ვთქვი, რომ არსად არ ვაპირებდი წასვლას... „მაოცებს თქვენი გამბედაობა და საქმისადმი სიყვარული“, მითხრა და ნათქვამს დაამატა, რომ რეპეტიციებზე მოვიდოდა და მომისმენდა. ასეც მოიქცა და როცა ვიმღერე, აღფრთოვანებული შემოვიდა ჩემს საგრიმიოროში და აღნიშნა:-„, მე დღეს ღვთაებრივი ხმა მოვისმინე.

გისურვებთ ჯანმრთელობას და დარწმუნებული იყავით, რომ პრემიერები, თქვენი დიდი გამარჯვებით ჩაივლის”. ძალიან გამიხ-



არდა, უფრო გავთამამდი სცენაზე, აქტიურად ჩავერთე სარეპეტიციო პროცესში და ერთ-ერთი რთული რეჟისორული მიზანსცენის შესრულების დროს, სრულიად მოულოდნელად დეკორაციაში ჩამივარდა ფეხი. ღირიჟორმა გააჩერა ორკესტრი და დაძაბულად ყველა მე შემომცქეროდა, ეგონათ ფეხი მოვიტეხე, სასწრაფოდ წამიყვანეს საავადმყოფოში, საბედნიეროდ მოტეხილობა არ აღ-

მოხნდა, მაგრამ ტრავმა იმდენად სერიოზული იყო რომ ექიმის რჩევით ხუთი დღე გამოვეთიშე რეპეტიციებს. ჩემი დროებითი ტრავმის პერიოდში, საპრემიერო რეპეტიციები ვერ შეჩერდებოდა, ამიტომ დირექცია იძულებული გახდა, რეპეტიციები გაეგლო ჩემს დუბლიორს, პოლანდიელ სოპრანოს, ბოლკენშტეინს, რომელსაც შემდეგ გაუჩნდა პრეტენზია ემღერა „აიდას“ პრემიერა. მაგრამ ეს ახრი კატეგორიულად უგულვებელყო ოპერის საბჭომ, რომელმაც ერთხმად მოითხოვა, რომ ტატიშვილი შეუცვლელია ამ პარტიაში და საპრემიერო სპექტაკლებში ის მიიღებს მონაწილეობას.

დადგა პრემიერის დღე, მომხსნეს თაბაშირი და დავიწყე სპექტაკლისთვის მზადება. დარბაზი მაყურებელს ვერ იტევდა, მოუთმენლად ელოდნენ სპექტაკლის დაწყებას. დირიჟორის შესვლას ორკესტრში, პუბლიკა ოვაციით შეხვდა, ჩემმა ნერვიულობამ კულმინაციას მიაღწია და ამასობაში მოვიდა აიდას გასვლის





დრო. აპლოდისმენტებით შემხვდნენ, რამაც გამამხნევა, სტიმული მომცა და დამაიმედა, რომ დარბაზში ბევრი ჩემი გულშემატკივარი იმყოფებოდა. აიდას ლოცვის შემდეგ, ნელ-ნელა იმატა ტაშმა და ბოლოს ისე გაძლიერდა, რომ მეგონა სეტყვა მოდიოდა. იმავე საღამოს, პრესაში გამოჩნდა პუბლიკაციები, რომელშიც ჩემთვის და ნოდარისთვის ეპითეტებს არ იშურებდნენ. ნოდარმა ბრწყინვალედ იძღერა, გაოცებულნი იყვნენ მისი ხმის მომსმენნი: - „უძვირფასესი დრამატული ტენორი, რადამესის გმირს მეტ დრამატიზმს და შთაბეჭდავობას სძენს“, აღნიშნავდნენ გერმანელი მუსიკისმცოდნეები”.

- „ცისანა და ნოდარი, ეს ორი უძლიერესი შემოქმედებითი ენერგია განაპირობებდა თეატრში სარეპერტუარო პოლიტიკას.

ცისანას ქონდა უძლიერესი მხატვრულ-შემოქმედებითი ინტუიცია, ნიჭი, უშეცდომოდ დაუფლებოდა საოპერო პარტიტურას...”

ლამარა გოგლიჩიძე

თბილისის კონსერვატორიის პროფესორი

-„ცისანა ტატიშვილი დღესდღეობით უმაღლესი კლასის დრამატული სოპრანოა, ეს არის მომღერალი, რომელიც ალტის სიღრმეებს წვდება, აფრქვევს ვნებასა და ექსპრესიას, სითბოს, რის გამოც კაცს სუნთქვა გეკერის. შეიძლება მხოლოდ განცვიფრება გამოიწვიოს იმან, თუ როგორ გადადის მისი ხმა ზღვარზე მისული ფორტისიმოდან ლუფტპაუზის გარეშე საოცრად ნაზ პიანისიმოში. ცისანა ტატიშვილი ხმას უმაღლეს დონეზე ფლობს...“.

ზაალბრუკენ-ცაიტუნგ, 1977წ.

-„ბრწყინვალე, არაჩვეულებრივი ხმა! აქ დიდი ხანია აღარ მოგვისმენია ისეთი ხმა, რომელსაც ფლობს ცისანა ტატიშვილი... ნამდვილ შტურმს გავდა ზაალბრუკენელი მსმენელის შეძახილები სპექტაკლის შემდეგ, რომელიც ეკუთვნოდა ქართველ სოპრანოს, ცისანა ტატიშვილს“.

ზაალბრუკენ - ცაიტუნგ, 1978წ

-„ახალი „აიდა“ „კომიშე ოპერის“ სცენაზე, გამოირჩევა თანამედროვე, ინოვაციური მიგნებებით, საოპერო ჟანრისთვის აბსოლუტურად უცხო, მაგრამ საინტერესო მახასიათებლებით. ბერლინის პრესა ბევრ საინტერესო სტატიას უძღვნის ამ დადგმას, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის მომღერლები. განსაკუთრებული წარმატება, გამორჩეულად მქუხარე ოვაციები მიუძღვნეს ცისანა ტატიშვილს, აიდას პარტიის შემსრულებელს. ქარიზმატულ მომღერალს, მშვენიერსა და მომხიბვლელ სოპრანოს“.

ბერლინი- 13 მარტი.

-„ცისანა ტატიშვილის შეუდარებელი, წარმატებული, ძლიერად და თანაბრად მჟღერი ხმა, თავისებური არტისტული საშემსრულებლო მანერა, ვ. ფელზენშტაინისეულ „აიდას“ დადგმაში - ყველაფერი ეს

უნიკალური თვისებებია, რაც ესოდენ აუცილებელია აიდას როლის განხორციელებისთვის“.

„მეტროპოლიტენ-ოპერას“ მიმოხილვა, 1969-1970წ.

-„ჩვენი საუკუნე მდიდარია საშემსრულებლო ტალანტებით, მაგრამ ის, რისი მოწმენიც აქ გავხდით, მართლაც გასაოცარია. უმაღლესი, მსოფლიო კლასის ხელოვნება გამოამჟღავნა სოპრანო ცისანა ტატიშვილმა“.

ბერლინი 1970წ.

МИНИСТЕРСТВО КУЛЬТУРЫ РСФСР
ГОСУДАРСТВЕННЫЙ
ОРДЕНА ЛЕНИНА АКАДЕМИЧЕСКИЙ
ТЕАТР
Оперы и балета
ИМЕНИ С.М.КИРОВА

29
ПОНЕДЕЛЬНИК 29 МАРТА 1976 г.
(вечер)

ПИКОВАЯ ДАМА
П. И. ЧАЙКОВСКИЙ

Опера в 3-х действиях, 7 картин

ПАРТИИ ИСПОЛНЯТ:

ЦИСАНА ТАТИШВИЛИ — ДАМА
АЛЕКСАНДР ВОРОШИЛО — КОМАНДИР
ВАДИМ НАЛЕНТЬЕВ — КОМАНДИР

Начало спектакля в 19 час 30 мин. Окончание спектакля в 23 часа 10 мин.

როგორც დღესასწაულზე, ისე მიეშურებოდნენ ცისანა ტატიშვილის კონცერტებზე, ვოკალური ხელოვნების თავყანისმცემლები. იგი, ბუნებით საოპერო მომღერალია- მასშტაბურად მოაზროვნე ხელოვანი, რომელიც უხვი ფერებით ძერწავს თავის სცენიურ სახეებს. მისი მოსმენისას ვგრძნობთ, რომ მისთვის, როგორც შემოქმედისთვის, ასევე ახლობელი და სისხლხორცეულია სხვა გამომსახველობითი შესაძლებლობები- ნაირგვარი, შედარებით რბილი ტემბრული ფერები, დეტალების ფილიგრანული დამუშავება, რაც ასე მნიშვნელოვანია ამ ჟანრის საშემსრულებლო კულტურისთვის. გამჭვირვალე პიანისიმო თანდათანობით აზვირთებული ზღვის ტალღასავით იკრებს ძალას და ერთი შეხედვით თითქოს თვალუწვდენელ მწვერვალებს იპყრობს...

ცისანა ტატიშვილის ხმა და შესრულება საჭიროებს შესაბამის მუსიკალურ თანხლებას... ამ მხრივ მართლაც გამოირჩევიან უნიჭიერესი პიანისტი ქალბატონი ნანა დიმიტრიადი და შესანიშნავი მუსიკოსი ვაჟა ჩაჩავა. ეს ადამიანები მომღერალს შემოქმედებითი წვის, ემოციური მუხტის სრულიად გამოვლენის საშუალებას აძლევდნენ, რაც ხელს უწყობდა კონცერტების წარმატებას.



-„ცისანა ტატიშვილი ქართული საოპერო თეატრის ბრწყინ-
ვალე ვარსკვლავია. იშვიათი სილამაზის ხმა, განუმეორებელი
ტემბრი და შესანიშნავი გარეგნობა. ჩვენ, თბილისში ერთად ბევრი
გვიმუშავია. მერე მე, მოსკოვში გადავედი სამუშაოდ, მაგრამ სა-
კონცერტო გამოსვლები მაინც გრძელდებოდა. 1979 წელს, ცისანა
და ნოდარ ანდლულაძე, ჩეხოსლოვაკიაში მიიწვიეს ერთი თვით
გასტროლებზე. პრადიდან, ამ ერთი თვის განმავლობაში, ყოველ
დღე მანქანით დავყავდით სხვადასხვა ქალაქებში. პროგრამაში
იყო, როგორც სოლო ნომრები, ასევე ღუეტები ოპერებიდან. ყველ-
გან ჰქონდათ დიდი წარმატება. ბერლინში, ქართული კულტურის
ფარგლებში გამართულ კონცერტებშიც ძალიან დიდი წარმატებით
მღეროდა ორივე მომღერალი. მოსკოვში გამართული კონცერტის
შემდეგ კი, ჟურნალი „სოვეტსკაია მუსიკა“ წერდა... “საინტერე-
სოდ შედგენილი პროგრამის პირველ ნაწილში ჟღერდა ქართველი
და რუსი კომპოზიტორების ნაწარმოებები, მეორე ნაწილში დასავ-
ლეთ ევროპული მუსიკა. თავისებური შეჯიბრი, გარდაიქმნებოდა
თანაბარუფლებიან თანამშრომლობაში, რაც არტისტებს ხელს
უწყობდა, გამოემჟღავნებინათ გემოვნება, გარდასახვის ოსტა-
ტობა, სტილის შეგრძნება, რომ აღარაფერი ვთქვათ ანსამბლურ
ხარისხზე და ვოკალური ტექნიკის ოსტატობაზე...” დაუვიწყარია
ცისანა ტატიშვილის შექმნილი სახეები- სანტუცა, ტოსკა, ლეონო-
რა, სენტა, ამელია, ეთერი...

ელენა ობრაზცოვამ, ერთხელ, თავის სტუდენტებს მოასმენინა
ცისანა ტატიშვილის ჩანაწერები და კითხვა დაუსვა - ვინ მღე-
რისო? ყველამ ერთხმად გამოხატა აღტაცება ხმისა და ოსტატობის
მიმართ... ზოგმა უპასუხა, ალბათ რენატა ტეპალდიაო...!”

ვაჟა ჩაჩავა

მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი

- ც.ტ. „თავს ბედნიერ ადამიანად ვთვლი, რომ ჩვენი დროის გამოჩენილ, ყველა დიდ, მე ვიტყვოდი, ვირტუოზ კონცერტმეისტერებთან მიმუშავია. ვაჟა ჩაჩავასთან და ნანა ღიმიტრიადისთან ყოველთვის თანაბრად ვინაწილებდი წარმატებას.

ეს ადამიანები ჩემი შემოქმედების დასაწყის ეტაპზე შევიძინე და მას შემდეგ მუდამ ერთგულად მიდგანან გვერდით. ვენდობი როგორც მეგობრებს, პარტნიორებს. მათი პროფესიონალიზმი, ოსტატობა, მაიმედებდა და მუდმივი გამარჯვებების საფუძველს მძლევდა...

ვაჟა ჩაჩავა შესანიშნავი პიროვნებაა, დახვეწილი, უაღრესად მუსიკალური, შრომისმოყვარე ადამიანი, ინტელიგენტი, დიდი მასშტაბისა და შემოქმედებითი ფანტაზიის ხელოვანი. იგი იყო ჩემი პირველი კონცერტმეისტერი. ჩვენ ერთმანეთი კონსერვატორიაში გავიცანით და დავმეგობრდით. კონსერვატორიას რომ ვამთავრებდი, მან დამიკრა სახელმწიფო გამოცდაზე, სადაც წარმატებით ვიმდერე. მერე თეატრში მივედი. იქ ერთად ვიმუშავეთ დონა ანას პარტიაზე (მოცარტის „ღონ ჟუანი“). უამრავი საკონცერტო რეპერტუარი, ურთულესი ქართული, რუსული თუ ევროპული ნაწარმოებების შესრულების დროს, ადგილობრივ თუ ევროპულ სცენებზე, ვაჟასთან ერთად თავს წარმოუდგენლად მშვიდად ვგრძნობდი...

ვოკალისტის წარმატებისთვის, რომ განმსაზღვრელია კონცერტმეისტერის გაწაფულობა და კომპეტენტურობა, ამას ხშირად აღნიშნავდა ჩემი მშობლიური თეატრის დეკლამოსილი, ძალიან გამოცდილი კონცერტმეისტერი, დიდი და ბრძენი ქალბატონი ტატიანა დუნენკო. იგი მზრუნველი, თბილი და მოწესრიგებული, მრავალმხრივი ნიჭის ადამიანი იყო. მის თვალწინ ვიზრდებოდი, ვვალბდებოდი და მისგან ვსწავლობდი ბევრ საინტერესო პროფესიულ ნიუანსს, რაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს არტისტმა სცენაზე გასვლის წინ, ამათუიმ სპექტაკლში თუ კონცერტის დროს. ქალბატონ ტატიანასთან მოვააშხადე მთელი რიგი საოპერო პარტიები, ხშირად ერთად გამოვდიოდით ყველა დიდ და მნიშვნელოვან კონცერტებში.

მართლა ძალიან განებივრებული ვიყავი ამ მხრივ. თამამად შემძლია ვთქვა, რომ ყველა სახელოვან კონცერტმეისტერთან მიმუშავია. ნანა დიმიტრიადის მხოლოდ სახელის აღნიშვნაა საკმარისი, რომ თვალწინ წარმომიდგება ჩვენი ტრიუმფალური გამოსვლები მსმენელით სავსე დარბაზებში... ლონდონში, პალერმოში, ვენაში, კვიპროსზე, სტოკჰოლმში, კიევში, ათენში, მოსკოვსა და პეტერბურგში... ათწლეულების მანძილზე გრძელდება ჩვენი ურთიერთობა და სამაგალითო მეგობრობა. ბრწყინვალე კონცერტმეისტერია, გემოვნებიანი, ძალიან არტისტული, მგრძობიარე და თამამი, გენეტიკურად სრულყოფილი შემოქმედებითი და პიროვნული თვისებებით მდიდარი ადამიანი. იგი უდიდესი მუსიკოსი და მისაბაძი პიროვნებაა.

ახალგაზრდა მომღერალი ვიყავი, თეატრში ახალი მისული, მაგრამ რამოდენიმე საოპერო პარტიას უკვე ვფლობდი, როცა მე და ნუგეშა მესხმა, კონსერვატორიის დიდ დარბაზში, სოლო კონცერტი გაგმართეთ. საოცარი ადამიანია, დაულალავი, უპრეტენზიო, ფაქიზი და სათნო, მიმღობი, შესანიშნავი მუსიკოსი და პიანისტი, რომელიც პარტნიორზე ფიქრობს მუშაობის პროცესში. ნუგეშა ყველა კარგი თვისებით არის შეძკული, დამშვენებული საოცარი სილამაზით, პროფესიული და პიროვნული სიმდიდრის სიუხვით.

80-იან წლებში, შვეხვი ქალბატონ ტატიანა ღუნენკოს ნამოწაფარს, ახალგაზრდა, მაგრამ საკმაოდ ჭკვიან და ნიჭიერ, მოწესრიგებულ და დისციპლინირებულ კონცერტმეისტერს, ვიქტორია ჩაპლინსკაიას. მასთან, ჩემი კარიერის ბოლომდე ვიმუშავე. იგი მშვენიერი საკონცერტმეისტერო მონაცემების მუსიკოსად ჩამოყალიბდა და თეატრში ახალ თაობასთან დღესაც ნაყოფიერად მუშაობს.

სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ ბედი მწყალობდა დირიჟორებთან მუშაობის მხრევაც, როგორც თბილისში, მოსკოვში ან პეტერბურგში, ასევე ევროპაში. უპირველეს ყოვლისა, დავასახელებ ჯანსუდ კახიძეს - ეს ადამიანი ფენომენი იყო. გენიალური მანესტრო. დახუნძლული ყველა საუკეთესო მონაცემით, დირიჟორისთვის აუცილებელი პათოსით, მძინიდველობით, არტისტულობით, ქარიზმატულობით, გამომსახველი ხელით, ინტუიციით და ინტერპრეტაციის საოცარი

უნართ. ჯანსუდი, საერთაშორისო კლასის დირიჟორი იყო. ყოველი მისი ჟესტი, ინდივიდუალური და ძალიან მტკიცე, მოხდენილი...

მსოფლიოში, თითხე ჩამოსათვლელია ისეთი დირიჟორები, როგორც იყო ოდისეი დიმიტრიადი. ბატონი ოდისეის, აქტიურ, ცოცხალ, ემოციურ, ნათელი ინტონაციის, ზუსტი და სუფთა ჟღერადობის ორკესტრთან მუშაობა, მომღერლისთვის განუსაზღვრელი წარმატების მომტანი იყო... ჩვენს თეატრში იყვნენ მაღალი რანგის დირიჟორები, რომლებიც თავიანთი პროფესიონალიზმით უტოლდებოდნენ საგასტროლოდ აქ ჩამოსულ მანკსტროებს. მაგალითად - გივი აზმაიფარაშვილი. იგი ნამდვილი საოპერო დირიჟორი იყო, შესანიშნავად გრძნობდა და ფლობდა ოპერის პარტიტურას, მუსიკალურ-დრამატურგიულ ფასეულობებს და უნაკლოდ უძღვებოდა სპექტაკლებს. ვახტანგ ფალიაშვილს, დიდმ მირცხულავას, თამაზ ჯაფარიძეს, რეზო ტაკიძეს წუნს ვერ უპოვიდით... შესანიშნავი დასი იყო, ბრწყინვალე მომღერლები, ორკესტრი, პომპეზური გუნდი, ხარისხიანი ხმებით დაკომპლექტებული.

აბა წარმოიდგინეთ, პეტრე ამირანაშვილთან ერთად სიმღერა რამხელა სიხარულია ახალგაზრდა მომღერლისთვის. მე ბედნიერი ვარ, რომ მქონდა საშუალება ვყოფილიყავი მისი პარტნიორი. გამიჭირდება გადმოვცე ის შთაბეჭდილება, რაც დაგროვილი მაქვს დავით გამრეკელზე.

მასთან ერთად, მის საიუბილეო კონცერტში ვიმღერე. მას ისეთი ბგერა და ენერჯია ჰქონდა, რომ სცენაზე მის გვერდით ყველა დაიკარგებოდა, თუ ვოკალურად და არტისტულად მომღერალი მაღალ დონეზე არ იყო მომზადებული. ყოველთვის მემახსოვრება მისი მხარდაჭერა, როგორც პარტნიორის და უფროსი კოლეგის.

დაუეწიყარია ასევე ბათუ კრავეიშვილთან ნამღერი სპექტაკლები. ის ბრწყინვალე მომღერალი იყო და ადამიანური კეთილშობილებით დამამახსოვრა თავი.

ჩვენს თეატრში, იმ დროს, მე-20 საუკუნის საუკეთესო ხმები და მომღერლები მოღვაწეობდნენ. ხშირად მახსენდება რევაზ კაკაბაძე და ჩვენი გასტროლები მოსკოვში. ოპერა “ტრუბადურზე”, “ დიდ თეატრის” დარბაზი მსმენელს ვერ იტევდა. როგორც კი, მოსკოვის

ქუჩებში, გამოიფინა აფიშები, რომლებიც იუწყებოდნენ თბილისის საოპერო დასის გასტროლს, რამდენიმე დღეში ბილეთები მთლიანად გაიყიდა. სრული ანშლავით ჩაიარა სპექტაკლმა. მე, ნოდარ ანდლულაძემ, რეზო კაკაბაძემ და თამარ გურგენიძემ ვიმღერეთ. ახლაც კი ყურში ჩამესმის მქუხარე ტაშის ხმა, რომელმაც თითქოს ქარბორბალასავით მრავალჯერ გადაურბინა ადამიანებით სავსე ყოვლისმნახველ „დიდი თეატრის“ დარბაზს. სპექტაკლის ბოლოს, მსახიობთა შესასვლელთან, ათასობით გულშემატკივარი დაგეხვდა, მანქანამდე მისვლის საშუალებას არ გვაძლევდნენ, ხელით გვეხებოდნენ, გვეფერებოდნენ, კომპლიმენტებს გვეუბნებოდნენ, ჩვენს სახელებს სკანდირებდნენ.

„ტრუბადურში“, „ბალ-მასკარადში“, „ტოსკაში“, „აიდაში“... არაერთხელ მიმღერია ჩემი თეატრის სახელოვან ბარიტონებთან-ელდარ გეწაძესთან, ანზორ შომახიასთან, ჯემალ მდივანთან, ვანო კოკოლიასთან. ხარისხიანი ხმები, ოსტატობა, არტისტიზმი, სცენიური კულტურა, თავაზიანობა და ჯენლტმენური თვისებები მათ უფრო მიმზიდველებს ხდიდა...

ყოველთვის მახარებდა ჩემი კოლეგების წარმატებები. ნოდარ ანდლულაძის ხმის მოსმენისთანავე უმართავი ხდებოდა მსმენელი. ტაშით ხვდებოდნენ სცენაზე მის გამოჩენას. იშვიათად, რომ ადამიანს ერთნაირად ამშვენებდეს ძვირფასი ხმა, განუმეორებელი გარეგნობა, ინტელექტი.

ნოდარი ყველა ამ თვისებით ელვარებდა და აიძულებდა მსმენელს სულგანაბულებს ესმინათ მისთვის. ეს ხელეწიფება მხოლოდ დიდ არტისტებს.

სწორედ ჭეშმარიტი არტისტი და უბადლო ვოკალისტი იყო ზურაბ ანჯაფარიძე, ჩემი ლეგენდარული გერმანი, რადამესი, აბესალომი. ნამდვილი სახალხო მომღერალი და დრამატული მონაცემების არტისტი. იგი იყო “დიდი თეატრის” პირველი საყრდენი ტენორი, სახე, რომელიც მსოფლიოს წამყვან სცენებზე წარმოადგენდა ამ თეატრის პრესტიჟს. მეც ხშირად მიწევდა იქ სიმღერა. მშობლიური თეატრივით მიყვარდა “მარინის თეატრიც”. დასიც კეთილგანწყობილი იყო ჩემს მიმართ და ღირეჟციაც. ბევრჯერ

შემოუთავაზებით გადავსულიყავი იქ, მაგრამ თავი შევიკავე- კლი-
მატური პირობების გამო... „ღიდი თეატრის” ხელმძღვანელობამაც
დააყენა საკითხი მოსკოვში ჩემი გადაყვანისა, მეც ვფიქრობდი და
თუ შესაბამისი რეპერტუარი იქნებოდა დავთანხმდებოდი. თუმცა,
ჩემს წინააღმდეგ ადამიანების აგრესიული ჯგუფი მოქმედებდა,
საკმაოდ აქტიურად და თანაც აშკარად, მოურიდებლად მიშლიდნენ
ხელს. მათთვის მთავარი იყო, მე „ღიდი თეატრის” დასში არ ვყო-
ფილიყავი. მერე, უკვე მე თვითონ ვთქვი უარი. მგლების ხროვაში
მარტო, ვერაფრით შევძლებდი თავის დაცვას. ბუნებით არ ვარ
მებრძოლი, ვინც მიცნობს, დამიდასტურებს, რომ მშვიდი, კეთილმ-
ოსურნე ბუნების, უკონფლიქტო ადამიანი ვარ და არ მომწონს დაძ-
აბული ურთიერთობები. არ მჩვევია კოლეგებთან უსიამოვნებები.
ჩემი საქმის, შესაძლებლობების, შემოქმედების მეტი, არაფერი
მაინტერესებდა. თეატრალური ინტრიგების მსხვერპლი ხშირად
ვყოფილვარ, მაგრამ ინიციატორი არა. სწორედ ინტრიგებსა და ამ
ინტრიგებით გამოწვეულ გართულებულ ურთიერთობებს ავარიდე
თავი და მერე აღარც განმიხილავს ეს საკითხი. პრი- მაღონობა
არასოდეს მიოცნებია, ამის ამბიცია არასოდეს მქონია. ამ სახელს
ხალხი გვარქმევს და უნდა გავუფრთხილდე. პრემიერების უცვ-
ლელი შემსრულებლის სტატუსი, იმას არ ნიშნავს, პატივი არ სცე
ღირსეულს, უკეთესი მონაცემების მოძღვრალს, საკუთარ კოლეგას,
გარშემომყოფთ... გაუმართლებელია, ხელი შეუშალო ადამიანს
პროფესიულ საქმიანობაში. ბევრი სირთულე, გულისტკენა მქო-
ნია, მაგრამ ეს კომპენსირდებოდა უამრავი სიხარულით, ხალხის
სიყვარულით და ამით გამოწვეული დაღებითი ემოციებით.

ერთ-ერთ მოძღვრალს, გალინა ვიშნევსკაიას უთქვამს თავის-
დროზე- „ვიდრე მე ამ თეატრში ვარ, ცისანა ტატიშვილის ფეხი
ამ სცენაზე ვერ დადგებაო”. როცა ის წავიდა საბჭოთა კავშირი-
დან, „ღიდი თეატრში” იმ პერიოდში „აიდა” დაიდგა. პრიმა-ღონა,
რომელმაც ქვეყანა დატოვა და საცხოვრებლად უცხოეთში დარ-
ჩა, ცოტა ხანში აღარავის გახსენებია და მაშინვე დამიკავშირდა
„ღიდი თეატრის” ადმინისტრაციას, მთხოვეს „აიდას” პრემიერებ-
ში მიმელო მონაწილეობა. ორ კვირაში სამი სპექტაკლი ვიმდერე.

პრესა ტრადიციულად იუწყებოდა-„ ცისანა ტატიშვილის აიღამ, სპექტაკლს მნიშვნელოვანი წარმატება მოუტანა...”

მოსკოვში ბევრჯერ მიმდებარა ზურაბ სოტკილაეასთან. ის საოპერო სცენის მეტრია, დიდი ავტორიტეტი. მახსოვს, სვეტებიან დარბაზში სოლო-კონცერტი გამართა, რომელშიც მისი სურვილით მივიღე მონაწილეობა. ჩემს ბიოგრაფიაში ის გამოსვლა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდია. „ბალ-მასკარადში”, „ტოსკაში”, „სოფლის პატიოსნებაში”, „ტრუბადურში” ზურაბ სოტკილაეა სასურველი პარტნიორი იყო.

მსოფლიოს ბევრი წამყვანი თეატრი ისურვებდა თეიმურაზ გუგუშვილის და ალექსანდრე ზომერიკისნაირ ხმებსა და შემსრულებლებს. შესანიშნავი ვოკალური მონაცემების მუსიკოსები არიან. პროფესიულმა ალლომ, ხმის ექსპრესიამ, სხარტმა მუსიკალურმა აზროვნებამ, სრულმა დიაპაზონმა, ტექნიკამ და ვოკალურმა კანტილენამ მათ ჩვენი თეატრის გამორჩეულ სოლისტ-მომღერალთა გვერდით მიუჩინა ადგილი. ბევრჯერ ვყოფილვარ მათი წარმატებების მოწმე ჩვენშიც და უცხოეთშიც.

ალეკო ზომერიკმა შესანიშნავი ორგანიზატორული ნიჭიც გამოავლინა, როცა მისი დიდი ძალისხმევით ბათუმში ჩამოყალიბდა ოპერის დასი.

იღებოდა საინტერესო სპექტაკლები, შედეგები. სხვათაშორის, „აიდას” საპრემიერო დადგმაში მეც შევასრულე ამნერისის პარტია.

თბილისის ოპერის თეატრის მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ იმერი კავსაძე, ვახტანგ გლუნჩაძე, თენგიზ ზაალიშვილი (რომელსაც ახალგაზრდობაში ვანო სარაჯიშვილს ადარებდნენ), ანზორ ფიოლია, ენრიკო ჩიხლაძე, ლადო კანდელაკი, რეზო გორგიძე...

ქვეყნის არცერთ წამყვან თეატრს არ ყოლია მედეა ამირანაშვილისნაირი სოპრანო. მედიკო ბრწყინვალე არტისტი და ვოკალისტი იყო. ჩვენ ერთად „დონ კარლოსში” და „ლოენგრინში” ვიმღერეთ. ის სპექტაკლები, სანახაობრივად და მუსიკალური თვალსაზრისით ნამდვილად განუმეორებელი იყო. ჩვენს დასში იყო

ლამარა ჭყონია, რომელმაც დასამახსოვრებელი სახეები შექმნა საოპერო სცენაზე. ბრწყინავდა ნათელა ტულუში, თავისი მშვენიერი ხმითა და გარეგნობით. აგრეთვე თამარ თაქთაქიშვილი, ძალიან არტისტული, შესანიშნავად განვითარებული მაღალი რეგისტრით. მთავარ პარტიებს მღეროდა დინა ჯიბაძე, რომელიც მერე კამერულ ჟანრში შეუდგა მოღვაწეობას და დიდი წარმატება ჰქონდა. ოლღა კუხნეცოვა, ნათელა მკერვალიძე, მაია თომაძე, მილა ბოგატელო, ლიანა კალმახელიძე, მარიცა მაღლაფერიძე, შზია დავითაშვილი, გაიანე დოლიძე... რომელი ერთი ჩამოვთვალო. მერე უკვე თეატრში მოვიდა ახალი თაობა, იანო ალიბეგაშვილი და თამარ ჯავახიშვილი, სახელგანთქმული მომღერლები, რომლებიც აძემად მსოფლიოს წამყვან სცენებს იპყრობენ და ალამაზებენ. ქალთა შემადგენლობით ყოველთვის ძლიერი იყო ჩემი მშობლიური თეატრი. თამარ გურგენიძის და მანანა ეგაძის საოპერო პერსონაჟები დიდი ხანი ემახსოვრება თბილისელ მსმენელს. ელზა გარსევანიშვილი, ლიანა ღვედაშვილიც გამოირჩეოდნენ მეცო სოპრანოთა შორის. მართლა უნიკალური დასი იყო, თეატრი, სადაც მღეროდნენ თენგიზ მუშკუდიანი, პაატა ბურჭულაძე, შუშანია, საერთაშორისო კლასის ბანები. ლამაზი, თბილი, არისტოკრატიული ტემბრის, სავსე, ძლიერი ხმებით.

აი, ასეთ დასთან უწევდა მუშაობა ასევე დიდი სახელის რეჟისორებს. მე პირადად, მიმუშავია ინოვაციების მოყვარულ, უნიჭიერეს ადამიანებთან, ძალიან საინტერესო და ესთეტიურ რეჟისორებთან გურამ მელივასთან, რობერტ სტურუასთან, მიხეილ თუმანიშვილთან, გიგა ლორთქიფანიძესთან. ვიმუშავე დიდ მაესტროსთან, დოდო ალექსიძესთან, გიზო ჟორდანიასთან. თითოეული მათგანი თავისი საქმის მეტრია, დიდი პროფესიონალი, ქართული კულტურის წარჩინებული წარმომადგენელი და მოამაგე.

საინტერესო რეჟისორული ნამუშევრები, ვიტყვოდი ნიმუშები, მომღერალთა ძლიერი შემადგენლობა, თბილისის ოპერის მნიშვნელოვანი წარმატებების გარანტი იყო ყოველთვის.”



**ჯ. პუჩინი - „ტოსკა“
ალეკო ხომერიკი და ცისანა ტატიშვილი**

-„ქალბატონ ცისანა ტატიშვილზე, მის ხელოვნებაზე საუბარი, ჩემთვის ძალზე სასიამოვნო და ამავე დროს საპასუხისმგებლო საქმეა. თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი ხმა, შესანიშნავი გარეგნობა, რომელიც გასხვივოსნებული იყო შინაგანი ელვარებით, არტისტიზმითა და ღიღი ტემპერამენტით.

ცისანა ტატიშვილი, ერთნაირად ფლობს სასიმღერო ფორტესა და პიანოს. მაღალ რეგისტრში კი ხმა იძენს მეტალის ელვარებას,

რომელიც ოსტატურად გადაყავს თითქმის ჰეროიკულ ჟღერადობაში. მაგრამ აქაც ხმა ინარჩუნებს საოცრად ლამაზ შეფერილობას, რაც განცვიფრებას იწვევს, როგორც ჩვენში, ისე დანარჩენი მსოფლიოს საოპერო თუ საკონცერტო სცენებზე. ეს ხმა, ერთხელ მაინც თუ მოისმინა ვინმემ, არასოდეს დაავიწყდება და დარჩება უიშვიათეს მოგონებად. ქ-ნ ცისანას ვოკალი და განუმეორებელი შესრულება, ამა თუ იმ ოპერაში ან კონცერტის დროს, ჩემის აზრით არის ეტალონი საოპერო მომღერლის შესაძლებლობისა. მე ბევრი მომისმენია დიდი მომღერალი, ბევრთან მიმღერია მსოფლიო სცენებზე, მაგრამ როდესაც ცისანა ტატიშვილთან ვმღეროდი, ვღებულობდი ისეთ სიამოვნებას ამ განუმეორებელი ხმისგან, რაც ალბათ ჩემს დარჩენილ ცხოვრებაში ტკბილ მოგონებად დარჩება. მეამაყება, რომ ვიყავი ქალბატონი ცისანას ბოლო პარტნიორი საოპერო სცენაზე. ვიყავი მისი კავარადოსი, დონ კარლოსი, მანრიკო, აბესალომი, რადამესი და სხვა... “

ალეკო ხომერიკი

საქართველოს სახალხო არტისტი



ოდისეი დიმიტრიადი და ცისანა ტატიშვილი (მოსკოვი)

-,ბუნებაში არსებობენ ხმები, რომლებიც ერთბაშად გატყვევებენ თავისი არაჩვეულებრივი ტემბრით, ღრმად იჭრებიან შენს სულში, ხან გეაღერებიან, ხან გაღელვებენ და გრძნობ, როგორ ხვდები სამუდამოდ მის ტყვეობაში. მე, შვეიცარე ეს ხმა და არა მხოლოდ ხმა!



ცისანა ტატიშვილი შესანიშნავი მომღერალი და პიროვნებაა. სიკეთით, გულითაღობით, მეგობრული სიტბოთი აღვსილი კო-

ლეგა, რაც სამწუხაროდ არც თუ ხშირი შემთხვევაა. ურთიერთობაში ის ყოველთვის თავისუფალი და სასიამოვნოა. ცისანამ, განკვლო არაჩვეულებრივი ვოკალური სკოლა. მისი მასწავლებლები იყვნენ გ. ქართველიშვილი და დ. მჭედლიძე. მაგრამ ჭეშმარიტი შემოქმედებითი გაფურჩქვნის ხანა მის ცხოვრებაში დაიწყო ნოდარ ანდლულაძესთან – შესანიშნავ მომღერალთან და პედაგოგთან. თანამშრომლობისა და ურთიერთობის დროს, ნ. ანდლულაძემ შეძლო ცისანას ვოკალური და მხატვრული ნიჭის ყოველმხრივ გამლა-განვითარება. მათი ერთობლივი გამოსვლები ვერდის, პუჩინის, მასკანის ოპერებში მუსიკალური ცხოვრების მოვლენა იყო. გერმანიაში, ფელეხენშტეინთან, ისინი, მონაწილეობდნენ ვერდის „აიდაში“. გენიალურმა რეჟისორმა, ცისანას მიანიჭა უპირატესობა აიდას პარტიის 100 შემსრულებელთა შორის.

თვალწინ მიდგას მისი აიდას, ტოსკას, სანტუცას, სენტას, თამა-

რის, ეთერის სახეები, ხოლო სალომე, რ. შტრაუსის ამავე სახელწოდების ოპერაში, არაჩვეულებრივ ღირიჟორთან ჯ. კახიძესთან ერთად, საერთაშორისო მოვლენა იყო არამხოლოდ თბილისისთვის, არამედ მოსკოვის მუსიკალური ცხოვრებისთვისაც.

მე ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების გარკვეულ მონაკვეთში, ცისანასთან ვიყავი დაკავშირებული. ჩვენ ბევრსა და წარმატებით ვმოგზაურობდით კონცერტებით. შემოვიარეთ მრავალი ქვეყანა. ეს გასტროლები დაუვიწყარია, რადგან ყველგან დიდი წარმატება და სიხარული განგვიცდია. ცისანა ნამდვილი პრიმადონა იყო, თუმცა, პრიმა დონას ხასიათის გარეშე. შესაძლოა უფრო დიდ წარმატებებში მას ამანაც შეუშალა ხელი.

ელისო ვირსალაძემ ერთ შემოდგომაზე თავისი ფესტივალისთვის იტალიელი იმპრესარიო ჩამოიყვანა. ერთად თელავში ჩავედით და იქ გააცნო ცისანა. ინსტრუმენტთან დავეჯექი, ცისანამ ჯოკონდას არია იმღერა. გაცეცხლებული წამოხტა ფეხზე იტალიელი იმპრესარიო, მივიდა ცისანასთან და უთხრა:-, თქვენი ხმა ადამიანმა ცოცხალი შესრულებით უნდა ისმინოს, რომ აღიქვას მთელი თავისი სიდიადით”.

ასეთ კომპლიმენტებს ცისანა ტატიშვილს, სადაც არ უნდა ჩავსულიყავით ყველგან ეუბნებოდნენ. არ დამავიწყდება ქალბატონი დევისის აღფრთოვანება, როცა ლონდონში ჩვენს კონცერტზე ცისანას ხმა მოისმინა. დევისი მეცენატი ქალია, რომელმაც თავის დროზე დომინგო, კაბალიე და კარერასი გამოიყვანა ასპარეზზე... და ნანობდა ცოტა ადრე ვერ შეხვდა ცისანას, რომ მისთვისაც შეეწყო ხელი საერთაშორისო სცენებზე გამოსვაში”.

ნანა დიმიტრიადი

თბილისის კონსერვატორიის პროფესორი



ო. თაქთაქიშვილი - „მოვარის მოტაცება“
ცისანა ტატიშვილი და ელდარ გეჯაძე

-„ვთქვა, რომ ცისანა ტატიშვილი ქართული ვოკალური ხელოვნების უბრწყინვალესი წარმომადგენელია, ეს ყველამ იცის. ვთქვა, რომ ლამაზი, მოძიბლავი ქალბატონია და მისი დარი გარეგნობის ადამიანი სანთლით საძებარია, ამას ყველა ხედავს. ვთქვა, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი ულამაზესი, უძლიერესი, უძლიერესი ხმის პატრონია, ესაც ყველამ იცის. ქართულს რომ კარგად ცეკვავს, ესაც ბევრმა იცის...

მე დავამატებ მხოლოდ იმას, რომ ცისანა არის უერთგულესი

მეგობარი, როგორც ცხოვრებაში, ასევე სცენაზე. ბედნიერი ვარ, რომ მრავალი წელი ვიყავი მისი პარტნიორი, როგორც მშობლიური, ისე ევროპული თეატრების სცენებზე. გვქონდა წარმატებები და მას, როგორც საკუთარი, ისე უხაროდა პარტნიორის გამარჯვება.

მრავალი სპექტაკლი გვიმღერია ერთად, მაგრამ მე გამოვეყოფდი მათ შორის ორს, რომლებიც პირველად სრულდებოდა ქართულ სცენაზე. ესენი იყო: - ო.თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცება“ და პროკოფიევის „ცეცხლოვანი ანგელოზი“. მახსენდება დადგმის პროცესი, დამქანცველი რეპეტიციები, რომლებიც მოითხოვდა უხარმაზარ ენერჯიას. მთელი შემადგენლობის თავდაუზოგავმა შრომამ ბრწყინვალე შედეგი გამოიღო. ქართულმა საოპერო თეატრმა მიიღო თამარისა და რენატას უბადლო სახეები. სწორედ ეს მაძლევს უფლებას მოგმართო: - ჩემო თამარ, ჩემო რენატა, იხარე და იბედნიერე. შენი თარაში, შენი რუპრეხტი.”

ელდარ გეწაძე

საქართველოს სახალხო არტისტი, თბილისის კონსერვატორიის პროფესორი

-„სახელმა მიკარნახა, რომ ხმაა თვით ცისანა, ლაჟვარდოვანი ცასავით მდიდარი ფერებით, ღრმა, სავსე ტონებით. ხმა, რომელიც არასოდეს დაგტოვებს გულგრილს მისი მღელვარე სილამაზის გამო, რომელიც გამოირჩევა მხოლოდ მისთვის მახასიათებელი სინატიფით და დრამატიზმით. ხმა, რომელშიც შერწყმულია ტემბრის სითბო, ცრემლიც და ნაპერწკალიც, გულში ჩამწვდომი ღირიზმიც და ტემპერამენტიც. იგი კამერული სიმღერის ინტიმურობასთან ერთად თავისუფლად იტევს საოპერო მასშტაბის გაქანებას.

ამოდენა სიმდიდრეს განკარგავს მისი კეთილშობილი ნატურა, პიროვნული სიმაღლე-მოკლებული ყოფითი დამკვიდრების მცდელობებს.

ცისანა სცენისთვის საჩუქარია გარეგნულადაც. ეფექტური, მომაჯადოებელი. მართლაც იშვიათობაა ხმისა და გარეგნობის

ასეთი შერწყმა. გაიხსენეთ, როგორი ვოკალურ-ემოციური პალიტრა და ფსიქოლოგიური წვდომა უჩვენებია მოცარტის ღონა ანა-დან რ. შტრაუსის სალომეა-მდე.

ბედნიერებად ვთვლი ჩემს შემოქმედებით ურთიერთობას ცისანასთან. ჩემმა უსაყვარლესმა პედაგოგმა ქალბატონმა ტატიანა ღუნენკომ მონდომა ჩვენი დაკავშირება, მას აწუხებდა ჩემი შემოქმედებითი პასიურობა. მოხდა ისე, რომ კონსერვატორიის დიდ დარბაზში დ. ანდლუაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ კონცერტში თანხლება უნდა გამეწია ცისანასა და ნოდარ ანდლუაძისთვის, მასკანის ცნობილ დუეტში „სოფლის პატიოსნებიდან“.



ამ სფეროში ძალიან მწირი გამოცდილება მქონდა, არ ვიცოდა ძალამ ჩამიყვანა ბოლომდე, ჩემი ურთულესი პარტიაც საკმარისი იყო უგონო მღელვარებისთვის. ამ ორ ტიტან მომღერალს თვინიერად ვერ აჰყვებოდი, მუსიკის საოცრად მაღალი ძაბვის და ვოკალისტების გაქანების და ტემპერამენტის გამო, ისინი პირდაპირ მწვერვალებზე დაჰქროდნენ. ამ წუთების უნიკალური განცდით თავგანწირული მხოლოდ მხურვალე აპლოდისმენტების დროს გამოვერკვიე და ვიფიქრე, ღმერთო, როგორც ჩანს გადავრჩი...

1980 წელს ცისანას ქონდა სოლო კონცერტი, აკომპანიმენტს მე ვუწევდი. ხშირი რეპეტიციების დროს თავს ვიჭერდი იმაში, თუ როგორ მოჯადოვებული ვუსმენდი და როგორ ვიხიბლებოდი მისი

პიროვნული უბრალოებით - ბევრისთვის მუდამ უცხო დარჩა ამ ალტაცების შეგრძნება!

კონცერტის პროგრამა მოიცავდა სხვადასხვა ეპოქის, სტილის რეპერტუარს-ძველი კლასიკოსები: სკარლატი, ვივალდი, მოცარტი, ვერდი, მასკანი, პუჩინი, ედგარი, ჩილეა და მთელ ამ თავბრუდამხვევ მუსიკალურ სივრცეში ცისანა თვითონ ბრწყინავდა თუ გარეგნულად, თუ წამლექავი, გამანადგურებელი სილამაზის ხმით.

კონცერტის ბოლოს, ავანსცენაზე, კონცერტმეისტერის დეაწლის აღსანიშნავად ხელი ამაწვინა, რაზეც ბიძინა კვერნაძემ ქათინაურები დაგვირიგა:- „ისე იდექით სცენაზე, როგორც ტურისტი ქართლის დელასთანო“, რითიც ხაზი გაუსვა ერთის ეფემერულობას, ხოლო მეორეს მარადიულობას!”

ნესტან (ნუგეშა) მესხი

თბილისის კონსერვატორიის პროფესორი

- „შეუძლებელია ემოციებს მოერიო, როდესაც ცისანა ტატიშვილზე საუბრობ, მის ხმას ისმენ ან სპექტაკლებს იხსენებ. მე მას



პლანეტის მომდერალი შევარქვი, გლობუსის დედოფალი... ცისანას ფანტასტიკური ხმა და არტისტიზმი მთელს მიწიერ სფეროს დაიპყრობდა. სიამაყე და დიდი სიხარულია, რომ ის არის ჩვენი ეროვნული განძი, ასეთი მისაწვდომი და ძვირფასი და მაინც ის რჩება მსოფლიოს ერთ ერთ უმშვენიერეს ხმად... ჯანსუღ კახიძე ამბობდა-

ბიძინა კვერნაძე და ცისანა ტატიშვილი

„პოლონეთში ერთ-ერთი გასტროლის დროს „აიდა“ ისე იმღერა, რომ საღირსი-ჟორო ჯოხი აღტაცებისგან ხელიდან გამივარდაო”.

ჩემო ცისანა, ცოტა გვიან რომ დაბადებულყავი, საქართველო ქვეყნიერების თვალი იქნებოდა...”

ბიძინა კვერნაძე

კომპოზიტორი, საქართველოს სახალხო არტისტი

- ცისანა ტატიშვილი, პირველი ქართველი მომღერალი ქალია, რომელიც პირადად ვაგნერის შვილიშვილმა, 1978 წელს მიიწვია „ბაირეთის საოპერო ფესტივალზე“. უდიდესი გერმანელი კომპოზიტორის, რ. ვაგნერის სახელის უკვლავსაყოფად, ეს ფესტივალი ბაირეთში ყოველ ზაფხულს იმართება, რომელშიც მსოფლიოს ყოველი მხარიდან ვაგნერის მუსიკის საუკეთესო შემსრულებლები იყრიან თავს. ფესტივალზე ვაგნერის მუსიკა სრულდება, მაგრამ გამონაკლისის სახით ქალბატონ ცისანას რ. შტრაუსის „სალომე“ უნდა ემღერა. ადგილობრივი პრესა უნიკალურ რეცენზიებს აქვეყნებდა და ეპითეტებით ამკობდა სახელოვანი ქართველი სოპრანოს ოსტატობას და წინასწარ იუწყებოდა, რომ ფესტივალის ერთ-ერთი მარგალიტი ისიც იქნებოდა სხვა მონაწილეებს შორის.

გერმანულ პრესაში გამოჩნდა ცნობილი ჟურნალისტისა და თეორეტიკოსის, ალბერტ პეტერ ბიცის რეცენზია: - „მაყურებლით გადაჭედული დარბაზი, დიდხანს ზეიმობდა ვაგნერის „მფრინავი ჰოლანდიელის“ უპრეცედენტო წარმატებას. ხანგრძლივი ტაში, პირველყოვლისა მიმართული იყო ჩვენი სტუმრისადმი. ცისანა ტატიშვილს ბრავოს ყვირილით, ოვაციებითა და უამრავი ყვავილით ესალმებოდა პუბლიკა. სენტას ურთულესი პარტია, ცისანა ტატიშვილს ნამღერი აქვს თბილისის ოპერაში, როცა ჰერმან ვედკინდმა, დირიჟორ ზ. კოლერთან ერთად დადგა ეს ნაწარმოები. შემდეგ საარლანდის საოპერო თეატრში შედგა დიდი საოპერო ზეიმი მისი მონაწილეობით, შობის პირველ დღეს. იგი ფლობს უნატიფეს ფრაზირებას, მისი ხმის დრამატულმა გამოძახველობამ დაატყვევა

მსმენელი.... მოუთმენლად ველით ცისანა ტატიშვილს ბაირეთში, რომ დაამშვენოს და უფრო მნიშვნელოვანი გახადოს ჩვენი ფესტივალი...”. ქალბატონი ცისანა, ელოდებოდა ფესტივალზე გამგზავრებას და სჯეროდა, რომ კიდევ მეტ აღიარებას მოუტანდა მშობლიურ თეატრს, მაგრამ ისევ „გოს კონცერტის” უსამართლობამ შეუშალა ხელი ფესტივალში მონაწილეებისთვის. უფრო კონკრეტულად კი ის მოხდა, რომ მის მაგივრად ბაირეთში „დიდი თეატრის” სოლისტი გაუშვეს. ქალბატონი ცისანა კი ფრანკფურტში გაემგზავრა ჯ. პუჩინის „ტოსკას” შესასრულებლად...

სახელმოხვეჭილი და საკმაოდ ავტორიტეტული მუსიკალური კრიტიკოსების ნაშრომები, პროფესიულ პაექრობას ემსგავსებოდა, იმდენად დიდი მონღომებით, ვრცლად და ამომწურავად განიხილავდნენ ცისანა ტატიშვილის პროფესიონალიზმს და დამოკიდებულებას საოპერო ლიტერატურისადმი.



ჯ. პუჩინი - „ტოსკა“
ნოდარ ანდლულაძე და ცისანა ტატიშვილი

- „გოეთემ თქვა- ადამიანის ისტორია არის მისი ხასიათი. მას მეტის მიღწევა შეეძლო შემოქმედებით ასპარეზზე, მაგრამ კეთილშობილი ხასიათის გამო მყუდროდ ცხოვრება ერჩივნა. როცა ხარდიდი ოსტატი, უფლება არ გაქვს იყო დამთმობი. ცისანა კი საოცრად ხელგაშლილი, კეთილი ადამიანია, მას არასოდეს შურდა სხვისი და არც კოლეგებისთვის შეუშლია ოდესმე ხელი, მისი პარტიები ეძღვრათ. პირიქით, ყველას ეუბნებოდა, თუ შეძლებთ იძღვრეთო.

ცისანას პორტრეტი ოპერის თეატრში უნდა გამოიფინოს და როცა იქ ახალი თაობის მსმენელი მივა, ნახოს, რომ არსებობს ცისანა ტატიშვილი და მოისმინოს მასზე საინტერესო ისტორიები.”

დინა ჯიტაუა

საქართველოს დამსახურებული არტისტი



**ჯ. ვერდი - „ბალ-მასკარადი“
ზურაბ სოტკილავა და ცისანა ტატიშვილი**

საუცხოო ვოკალური მონაცემებისა და სიმღერის საუკეთესო სკოლის შეხამებამ, ცისანა ტატიშვილს შეუზღუდავი სარეპერტუარო შესაძლებლობები მისცა. ყოველ პარტიას მომღერალი მღელვარებით და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. ისე, როგორც პირველ გამოსვლას პუბლიკის წინაშე. მისი თითოეული როლი დასრულებული სახეა, დიდი შთამბეჭდავი ძალის მხატვრული პორტრეტი, რომელიც ექსპრესიითა და მრავალწახნაგოვნებით გამოიჩენება. განსაცვიფრებელია პარტიების ვოკალური და სცენიური ნახაზის ორიგინალურობა, მომღერლის სრული სასიმღერო და აქტიორული თავისუფლება. ერთ ერთ საზღვარგარეთულ გაზეთში კი ვკითხულობთ: - „ცისანა ტატიშვილს არ სჭირდება თეატრალური კოსტიუმები და დეკორაციები. იგი უამისოდაც ატყვევებს მსმენელს“. ლონდონური პრესა კი 1991 წელს წერდა: - „აი, შედგა თბილისის საოპერო თეატრის სოლისტის, დრამატული სოპრანოს, ცისანა ტატიშვილის დებიუტი, მომღერლისა, რომელიც მოსკოვის, ბერლინის და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი საოპერო სცენის სასურველი სტუმარია. მისმა ხავერდოვანმა ხმამ ის ხმები გაგვახსენა, რომლებსაც მიჩვეული ვიყავით წარსული თაობის საუკეთესო მომღერლების მოსმენისას“.

ცისანა ტატიშვილის ყოველი შესტი, ღრმად არის გამართლებული სახის განვითარების ლოდიკით, სცენიური სიტუაციით. მის გმირებს აერთიანებს მისივე პიროვნება, შესრულების მისეული მანერა, ხმის ფართო ჟღერადობა, თბილი ფრაზირება, გრძნობა, ტემბრის სილამაზე... მისთვის უცხოა იოლი, გარეგნულად ეფექტური გადაწყვეტილება, თავისი გმირების ხასიათს, სახეს, ელგანტურობას, ქცევის ჩვევებს, იგი ეძებს და პოულობს პარტიის მუსიკალურ დახასიათებაში, ამიტომ ის არის დამატყვევებელი პერსონაჟი სცენაზე, რომელიც დიდ ესთეტიურ სიამოვნებას გვანიჭებს მსმენელს...

უნდა აღინიშნოს, რომ არანაკლებ საინტერესოა ცისანა ტატიშვილის საკონცერტო მოღვაწეობა, აქ ჩანს მისი ნიჭის ახალი დეტალები, გამდიდრებული ვოკალური ოსტატობა. კამერული მუსიკის შესრულებაშიც გამოიკვეთა აზრიანი და სერიოზული

მუსიკოსის თვისებები, რომლის ემოციურობა დახვეწილ ოსტატობასთან არის შერწყმული. ქალბატონ ცისანას სოლო კონცერტების პროგრამაში ხშირად შეაქვს თავისი საყვარელი ავტორების, ვერდის, პუჩინის, მასკანის, პონკიელის, რახმანინოვის, მაჭავარიანის, ჩაიკოვსკის, თაქთაქიშვილის ნაწარმოებები...

„სიმღერა ჩემი სიყვარული და სიხარულია, ჩემი შრომა და ბედნიერებაა...“, აღნიშნავს მომღერალი.

მთავარი პარტიები ვერდის „აიდაში“, „ღონ კარლოსში“, „ტრუბადურში“, „ბალ მასკარადში“, „ოტელოში“, პუჩინის „ტოსკაში“, შტრაუსის „სალომეში“, მასკანის „სოფლის პატიოსნებაში“, მოცარტის „ღონ ჟუანში“, ჩაიკოვსკის „პიკის ქალში“... თანდათან ძლიერდება, ძალებს იკრეფს, დრამატურგიულად ვითარდება, როგორც კი ცისანა ტატიშვილი სცენაზე გამოჩნდება. იგი მაგიურად ზემოქმედებს დარბაზზე, დირიჟორზე, პარტნიორებზე. თითქოს მისი გმირების ირგვლივ იკრიბება სპექტაკლის ყველა დრამატურგიული კვანძი. ნიჭიერი მომღერალი დრამის ნამდვილი ცენტრია და მოულოდნელად ჩვენ ვისმენთ სპექტაკლებს ებოლიზზე, ამელიაზე, აიდაზე, ლეონორაზე, დონა ანაზე, ლიზაზე, სანტუცაზე, დეზდემონაზე, ტოსკაზე, სენტაზე, ჰერტრუდაზე, სალომეზე... თითქოს მოქმედებას აჩერებს ტაში, რომელიც არიების შემდეგ იქუხებს ხოლმე. ერთ სუნთქვაზე შესრულებული არიები დიდ გრძნობებსა და ვნებებს იტევს. კონცენტრირებულად ვლინდება ქალბატონი ცისანას უნიკალური, ღვთით ნაბოძები ნიჭი, საოცრად ჯანსაღი, მძლავრი, მშვენიერი ტემბრალური სილამაზის ხმა და სტიქიური ტემპერამენტი ამა თუ იმ ოპერის პარტიტურაში...



ჯ. ვერდი - „ღონ კარლოსი“ - ებოლი

-„მე, ფაქტობრივად ოპერის თეატრში გავიზარდე და მის კედლებში გაიარა ჩემი ბავშვობისა და სტუდენტობის წლებმა. ვერასოდეს დავივიწყებ იმ შეგრძნებებს, რაც თქვენს სიმღერას ჩემთვის მოუნიჭებია. თქვენი შესანიშნავი გარეგნობა, უბადლო არტისტიზმი, საოცარი ტემპერამენტი, სცენის ხიბლი თუ შესრულების მანერა, ჩემში ყოველთვის ალტაცებას იწვევდა. ჩვენს ოჯახში, თქვენი, როგორც საუკეთესო ქართველი სოპრანოს კულტი იყო.

ჩემი არც ისე ხანმოკლე კარიერის მანძილზე, მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვან თეატრში მიწვევს გამოსვლა, ამით იმის თქმა მინდა, რომ დღევანდელი იმის ვეებერთელა დარბაზებში, როგორიცაა „მეტროპოლიტენ ოპერა“, „კოვენტ გარდენი“, „ლა სკალა“, პარიზისა თუ ვენის თეატრები, ვერსად მოვისმინე თქვენ-

ნაირი უნიკალური დრამატული სოპრანო, განა იმიტომ, რომ ვერ წავაწყდი, უბრალოდ აღარ არსებობენ.

ცნობილია, რომ საოპერო წრეებში, თქვენს ხმას ტემბრალურად და ჟღერადობით დიდ იტალიელ სოპრანოს, რენატა ტებალდის აღარებენ. ვიცით, რომ ტებალდის ხმა, საოპერო სამყაროში სილამაზის ეტალონადაა აღიარებული. სამწუხაროდ, საბჭოთა რეალობამ თქვენ ხელი შეგიშალათ საერთაშორისო აღიარებაში, თორემ ისტორია თქვენს სახელს იგივე რენატა ტებალდის, მონსერატ კაბალიეს, მირელა ფრენის და სხვა დიდი მომღერლების გვერდით მიუჩენდა ადგილს.

თბილისის ოპერის წინ გახსნილი ვარსკვლავი, ვერც მნიშვნელობით და ვერც სიკაშკაშით ნამდვილად ვერ შეედრება იმ ორიგინალ ვარსკვლავს, რასაც ცისანა ტატიშვილი ჰქვია...”

თამარ ჯავახიშვილი(ივერი)

– „როგორი საქებარი სიტყვებიც არ უნდა ვთქვა, როგორი ხოტბაც არ უნდა შევასხა ცისანა ტატიშვილის შემოქმედებას საკმარისი მაინც არ იქნება.

უდიდესი გულისტკივილით მინდა ვთქვა, რომ ქალბატონი ცისანას მოღვაწეობა იმ პერიოდს დაემთხვა, როცა ქვეყანა ჩაკეტილი იყო. ჩემის ღრმა რწმენით, მისი რანგისა და მასშტაბის მომღერალი, ისეთივე ცნობილი უნდა ყოფილიყო ჩვენს პლანეტაზე, როგორც მარია კალასი...

ჩემო ცისანა, ჩვენი ქვეყნის საოპერო ხელოვნების ისტორიაში შენი სახელი დარჩება როგორც ყველა დროის ჭეშმარიტად განუმეორებელი პრიმა ღონა და საოპერო სცენის საოცრება...”

მანანა დოიჯაშვილი

საქართველოს სახალხო არტისტი, თბილისის კონსერვატორიის რექტორი

ც.ტ. - „ მოსკოვში კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში მე და ნანა დიმიტრიადიმ სოლო კონცერტი გავმართეთ. მრავალფეროვანი პროგრამა გექონდა, ევროპული, რუსული, ქართული მუსიკა. უამრავი მსმენელი მოვიდა, ხშირად გამოვდიოდით სწორედ იმ დარბაზში და გულშემატკივრის სიმცირეს არ ვუჩიოდით, მათ არასოდეს გამოპარვიათ ჩვენი მოსკოვური გასტროლი და მუდამ მოდიოდნენ კონცერტებზე. იმ დღესაც ბევრი ადამიანი მოვიდა, მათ შორის იყო საქართველოს საკონსულოს ხელმძღვანელი ნოდარ მეძმარიაშვილი. კონცერტის მსვლელობის დროს დარბაზში მყოფთ ვატყობდი კმაყოფილებას, რაც მეტ სტიმულსა და სურვილს მიჩენდა მიმენიჭებინა მათთვის სიამოვნება. ბისზე შესრულებული რამდენიმე ნაწარმოების შემდეგ როგორც იქნა შევედით მე და ნანა კულისებში და ჩვენთვის მოულოდნელად იქ დაგვხვდა ჩვენი კონსული. მოგვილოცა, გახარებული იყო ჩვენი წარმატებით და მითხრა: - „ ქალბატონო ცისანა, ხვალ ბატონ ღემიჩევიტან გაქვს შეხვედრა დანიშნული”. ღემიჩევი საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრი იყო და მანამდე იგი პირისპირ არასოდეს მყავდა ნანახი. შეუტყია, რომ კონცერტი მქონდა, თვითონ ვერ მოახერხა მოსვლა და კონსულს დაავალა, ვსტუმრებოდი მას. მართლაც მეორე დღესვე სასტუმროში გამომიგზავნეს მანქანა და მივედი სამინისტროში. ბატონი ღემიჩევი თავის კაბინეტში მელოდა. მღივანმა აუწყა, რომ მივედი და შემეყვანა მასთან. არაჩვეულებრივი ადამიანი იყო და ძალიან თბილად მიმიღო. მოიბოდიშა დაკავებული გრაფიკის გამო, რომ ვერ დაესწრო კონცერტს და მისაყვედურა, რატომ ვარიდებდი თავს მასთან საქმიან ვიზიტებს. მითხრა: - „ თქვენი თანამემამულეები ხშირად მოდიან ჩემთან თავიანთი უკეთესი შემოქმედებითი გეგმებისთვის, თქვენ კი რატომღაც თავს იკავებთ და ამით თქვენს კარიერას აზიანებთ. ჩემი ქალიშვილიც ვოკალისტია, თქვენი დიდი თავყანისმცემელი და მისგან ვიცი, თუ რამხელა პოტენციალის მომღერალი ბრძანდებით, მე ხელს შეგიწყობთ, რომ უკეთ გაგიცნოთ მსოფლიოში”: - თქვა და აიღო ტელეფონის ყურმილი. თურმე რეკავდა „გოს-კონცერტი“-ს ღირეჟტორთან. მოპასუხე მხარესთან საუბრით მივხვდი, როცა მას უთხრა- თქვენთან ახლა მოვა ცისანა

ტატიშვილი და მიეცით საუკეთესო ქვეყნები საგასტროლოდო. ბოლოს, დამემშვიდობა და მისურვა მეტი წარმატება, მე კი გავემშურე „გოს-კონცერტი“-ს ოფისში.

სხვათაშორის, ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან უფრო ადვილად შევიდოდა ადამიანი, ვიდრე „გოს-კონცერტ“-ის დირექტორთან, მაგრამ, იქ რომ მივედი, მეგობრული შეხვედრა მომიწყო, ღიმილიანი საღმით მიმიღო. დაიბარა სხვადასხვა განყოფილებების ხელმძღვანელები, რომლებიც კურირებდნენ ამათუიმ მომღერლის გასტროლს კონკრეტულ ქვეყნებში. დამიღეს სია, რომ ამომერჩია, როგორც კაპიტალისტური, ისე სოციალისტური ქვეყნები და როცა მოვხაზე, სადაც მოვაწვობდი ტურნეებს, დირექტორმა ნახევრად ხუმრობით მითხრა: - „შესანიშნავი გემოვნება გქონია“-თო. ნათქვამზე ვუპასუხე, რომ მოწყურებული ვიყავი ხშირ გასვლას იმ კონკრეტულ ქვეყნებში, რაც შემოხაზული მქონდა და ჩემი სითამამე, ერთბაშად მიძელო ეს სიამოვნება, სწორედ ამით იყო გამოწვეული...

ერთი სიტყვით, გახარებულმა დავტოვე იქაურობა და წამოვედი იმ იმედით, რომ უახლოეს დღეებში დამირეკავდნენ და შემატყობინებდნენ პირველი გასტროლის პირობებს. თუმცა, სამწუხაროდ, ორ კვირაში გავიგე, რომ მინისტრი დემიჩევი დაკავებული თანამდებობიდან გაუთავისუფლებიათ, მე კი დაგვძილი გასტროლები ისევ შემიმცირეს. ცხადია, ეს იმ ადამიანების ერთი ნაწილის გააქტიურებით მოხდა, ვისაც ხასიათს უფუჭებდა ჩემი უკეთესი სასიძღერო მონაცემები. მათი წინააღმდეგობა და ხელისშემშლელი ეპიზოდები ჩემს ცხოვრებაში უხვად იყო...!!!

მეტსაც გეტყვით: - გერმანიაში დირიჟორმა კიოლერმა გამართა გალა-კონცერტი და მიიწვია მსოფლიოში გამოჩენილი მომღერლები, (ერთ-ერთი ბირგიტ ნილსონი იყო). თბილისიდან მე ჩავედი. რეპეტიციის დროს თეატრში კბილის ტკივილმა შემაწუხა და დასაამებლად გამაყუჩებელი გამიკეთეს, რამაც ხმაზე ცუდად იმოქმედა. მოახლოვდა ჩემი გასვლის დრო. „შტააც ოპერას“ წამყვან ბარიტონთან „ტრუბადურიდან“ დუეტი უნდა მეძღერა, მაგრამ ხმა არ დამემორჩილა. აღმფოთებულმა ვოკალისტმა მაშინვე შეწყვიტა



მაესტრო კიოლერი და ცისანა ტატიშვილი

სიმღერა და ღირიჟორს უსაყველურა- უფლება არ გქონდათ, ასეთი მეგა-ვარსკვლავების შემადგენლობაში შემოგყვანათ ეს სუსტი მომღერალი. კიოლერმა გაიღიმა, გაჩუმდა, იცოდა ჩემი შესაძლებლობები და დარწმუნებული იყო, რომ კონცერტში ღირსეულად ვაჩვენებდი თავს პუბლიკას. ამიტომ აღელვებულ ბარიტონს მშვიდად უპასუხა: - „ნუ დელავთ, საკონცერტო პროგრამა შეიცვლება, დუეტი არ შესრულდება, თქვენ იმღერებთ დი ლუნასა და ტონიოს, ცისანა კი ტოსკასა და სანტუცას არიებს-ო“.

მეორე დღეს კონცერტში მართლაც ისე ვიმღერე, რომ აღფრთოვანებული ადამიანები დარბაზში ფეხებს აბაკუნებდნენ, ჰაერში კოსტუმებს აფრიალებდნენ. ის სოლისტი მომღერლები კი, ვინც რეპეტიციაზე ირონიულად მიმხერდნენ, შერცხვენილები კულისებში გაუჩინარდნენ.

კონცერტის ბოლოს ფარდა რომ დაეშვა, ჩემთან ერთად სცენაზე დარჩა მხოლოდ ორი მომღერალი, ერთი ამერიკელი სოპრანო, ხოლო მეორე ავსტრიელი კოლორატურა, რომელიც მოვიდა ჩემ-

თან და გულწრფელად მომილოცა წარმატება. მითხრა:-, გარდა იმისა, რომ ვარ მომღერალი და პედაგოგი, ვარ ასევე დიდი მანსტროს, ჰერბერტ ფონ კარაიანის მეგობარი, მისი ნდობით აღჭურვილი პირი. იგი, ახლა „ტრუბადურს“ დგამს და ეძებს ლეონორას შემსრულებელს, დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი სოპრანოს მოსმენა მას ასიამოვნებს და გაახარებს, შევთავაზებ, რომ აუცილებლად მოგისმინოთ”.

გავიდა ხანი და მოგვიანებით გავიგე, რომ კარაიანის პრეს-სამდივნო მართლაც დაკავშირებია „გოს-კონცერტს“ და მოუთხოვიათ ჩავსულიყავი ზაალცბურგში მანსტროსთან შესახვედრად. თუმცა, მოსკოვიდან ასეთი პასუხი მიუღიათ- „ციხანა ტატიშვილი ამაჟამად ქვეყანაში არ იმყოფება, იგი საგასტროლოდაა, სამაგიეროდ შეგვიძლია „დიდი თეატრის“ ერთ-ერთი გამორჩეული მომღერალი, მილაშკინა შესთავაზოთ“, რაზეც კარაიანის სამდივნოს კატეგორიული უარი განუცხადებია... აი, ასე არ მიმართლებდა ხშირად, ეს ალბათ ჩემი ბედისწერა იყო...

თუმცა, ჩემმა პროფესიამ საშუალება მომცა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამეცნო კულტურის გამორჩეული მოღვაწეები, მეთანამშრომლა და დავმეგობრებოდი მათ. სულ ვაკვირდებოდი ტალანტებს, ბევრ მკვეთრ მოვლენას ხელოვნებაში და უფროდაუფრო ვრწმუნდებოდი, რომ ქართული სამემსრულებლო ხელოვნება ფასდაუდებელი და გამორჩეულია. ქართველი მუსიკოსები-არტისტები, საერთაშორისო ასპარეზზე ყოველთვის ნიმნავდა პროფესიულ ოსტატობას, უმაღლეს კლასს...

საბედნიეროდ, პუბლიკაც მიჩვეული იყო თეატრში სიარულს. ტრადიცია იყო მათთვის ყველა პრემიერაზე მოსვლა, ამა თუ იმ შემსრულებლის მოსმენა და მხარდაჭერა. ყოველი ახალი მოვლენა ოპერის თეატრში, ახალი წარმოდგენა, მსმენელით სავსე დარბაზში იმართებოდა, მნიშვნელობა არ ჰქონდა სად ვიქნებოდით, აქ, თუ სახლვარგარეთ. ჩვენც ხალისი გვქონდა, როცა ფარდა აიწეოდა და დავინახავდით მსმენელით სავსე დარბაზს...

ჩემი შემოქმედების მნიშვნელოვანი პერიოდი იყო, როცა თბილისის ოპერის თეატრში ვიმღერე რ. შტრაუსის „სალომეა“. საბჭოთა

კავშირში პირველად აქ დაიდგა „სალომეა“ და საბჭოთა პუბლიკის ინტერესი ამ დრამატული ფორმის სიმფონიის მიმართ, რომელშიც სალომეს ხმა მრავალმხედრად, გიგანტურ ორკესტრში აღმასივით უნდა ბრწყინავდეს, არ განელებულა მანამ, ვიდრე მე ამ სპექტაკლში ვმღეროდი...

სალომეას სახის შტრიხები საოცრად იყო შეხამებული მუსიკაში, ხოლო მუსიკა და სალომეს ხასიათი ორმაგად შთამბეჭდავი გამოჩნდა გურამ მელივას დადგმაში. გივი ორჯონიკიძის, გურამ მელივას და ჯანსუღ კახიძის თამაში გადაწყვეტილება, დაეწოთ მუშაობა და დაედგათ შტრაუსის „სალომეა“, სენსაციური მოვლენა იყო იმ პერიოდის მუსიკალურ ცხოვრებაში.. სალომეს ურთულესი პარტია 1983 წელს თბილისში ვიმღერე, მოგვიანებით პრემიერა მოსკოვშიც გაიმართა. ორივე ქალაქში დიდი გამოხმაურება ქონდა წარმოდგენებს.

საბჭოთა კავშირში პირველი სალომეა ვიყავი და ჩემს მოსასმენად თაყვანისმცემლები პეტერბურგიდან და რუსეთის სხვა ქალაქებიდან ჩამოდიოდნენ. ქუჩებში აფიშების გამოფენიდან რამ-



მოსკოვი - „სალომეას“ პრემიერის შემდეგ:
ნიკიტინა, სოტკილავა, გურგენიძე, კოზლოვსკი, ტატიშვილი

დენიმე საათში იყიდებოდა ბილეთები. ადგილობრივი და უცხოელი მუსიკისმცოდნეები თავიანთ ნაშრომებში საქებარ სიტყვებს არ იშურებდნენ ღირიჭორის, დამდგმელი რეჟისორის და ცხადია, სალომეს პარტიის შემსრულებლის მიმართ”.

- რ. შტრაუსის „სალომეა“, ექსპრესიონისტული სტილის გიგანტური ვოკალურ-სიმფონიური პოემაა, ადამიანის გრძნობათა მოზღვავებაზე. აქ ყველაფერს მუსიკის ექსპრესია საზღვრავს და არა მინიმუმამდე დაფვანილი გმირების სამოქმედო ასპარეზი, მაგრამ ცისანა ტატიშვილის სალომე სრულიად ახალი მოვლენა იყო ქართულ საოპერო სცენაზე. მსგავსი ფსიქოლოგიური სიღრმის, სირთულის, ექსპრესიისა და სიმფონიური მასშტაბის პარტია არცერთი თაობის ქართველ მომღერალს არ შეუსრულებია... გ. მალერს უთქვამს - „სალომეა“ სოცრად გენიალური ქმნილება... აქ უზარმაზარი ნავის ქვეშ ვულკანი, მიწისქვეშა ცეცხლი გიზგიზებს და არა უბრალოდ ფოიერვერკი...” როგორც ქალბატონი მანანა ახმეტელი და უცხოელი მუსიკისმცოდნეები აღნიშნავენ - „ცისანა ტატიშვილის სალომეას სული მართლაც ვულკანურ ენერგიას აფრქვევდა...”, „ზღვარდაუდებელია ცისანა ტატიშვილის ხმის შესაძლებლობები, იგი „სატანის ქნარს” ჰგავს, ორკესტრის სიძლიერესა და ფერთა სიუხვეს რომ ეჯიბრება და შარავანდედად ეფინება...

ერთიმეორეზე უკეთესი კრიტიკა იწერებოდა „სალომეა“-ს საპრემიერო დღეებში, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე ამონარიდს მოუყარე თავი ამ წიგნში.

გაზეთი „კომუნისტი“ წერდა - „მისი ხმის დიაპაზონი, მოქნილობა, სილამაზე, დინამიკა და ინტონირების ოსტატობა „სალომეაში“ ახალ ხატოვან თვისებებს იძენს. ეს პარტია ქართველი მომღერლის შემოქმედების მწვერვალია, სადამდეც იგი გერმანელ რეჟისორთან, ვ. ფელზენშტაინთან „აიდაზე“ მუშაობის გამოცდილებამ და შემდეგ ვაგნერის ოპერებში ორტრუდასა და სენტას პარტიებში შეძენილმა ახალმა თვისებებმა მიიყვანა. იგი გნუსხავს, გაოცებს და გაღელვებს...”

- „ამ სპექტაკლით თქვენ ყველგან, თვით ყველაზე მომთხონი აუდიტორიის წინაშე შეგიძლიათ დაიცვათ თქვენი თეატრისა და ქვეყნის პრესტიჟი. სალომეს პარტიის შესრულება ხომ გმირობაა, მით უფრო ისეთ მაღალ დონეზე, რომელსაც აღწევს ცისანა ტატიშვილი. მას შესანიშნავი ხმა აქვს, საოცარი გამომსახველობით მღერის, გასაკვირი ოსტატობით ფლობს თავის ხელოვნებას...”

მოსკოვი: გაზეთი „პრაედა“



- „დირიჟორ ლაზარევისეული „სალომეას“ მხატვრული ჩანაფიქრი, თითქოს მიმართული იყო ცნობილი სალომეებისადმი-ბირგიტ ნილსონის, მონსერატ კაბალიეს და ქართველი ცისანა ტატიშვილისადმი, რომლებიც ცნობილნი არიან უზადო ძაღმოსილუბითა და ხმის სილამაზით, ფერთა უჩვეულო დახვეწილობით.”

მარინა ნესტივა, „მუსიკალური აკადემია“, 1993

- „ვიცილი რა, რომ ცისანასნაირი ტიტანი უნდა მდგარიყო სცენაზე, მეორე ტიტანიც-ჯანსუღ კახიძე, საორკესტრო ორმოდან ავიყვანე ზევით”, იხსენებს გურამ მელივა, „სალომეა“-ს ტრიუმფირატის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წევრი.

ოსკარ უაილდის დრამის მიხედვით შექმნილ ამ ერთ აქტიან საოპერო სტრუქტურის პოემური ტიპის ნაწარმოებს, რომელიც ეყრდნობა პროზაულ ტექსტს, თავის დროზე დიდი სკანდალი და მითქმა-მოთქმა მოჰყვა. რა თქმა უნდა იმ მიზეზით, რომ მისი სიუჟეტი ნასესხებია „ახალი აღთქმიდან”. თუმცა, ეს ვნებათაღელვა თანდათანობით მინელდა, რადგან ადვილი მისახვედრი იყო, რომ უაილდის ვერსია თავისი არსით ნევროსტენიის ფენომენის გამოკვლევა უფრო იყო, ვიდრე ბიბლიური დრამა.

გურამ მელივას რეჟისორულმა ფანტაზიამ კი მთლიანად შთანთქა მწერლის პირველადი ჩანაფიქრი, შესძინა მას ნათელი, ამალღებული აზრი სიმძაფრისა და აქტუალურობის შენარჩუნებით. ხოლო ცისანა ტატიშვილისა და ჯანსუღ კახიძის საშემსრულებლო ტანდემმა საერთაშორისო აღნიშვნა დაიმსახურა. ქართველი სალომესთვის სახოტბო სიტყვებს არ იშურებდნენ გამოჩენილი მუსიკოს-შემსრულებლები. ცისანა ტატიშვილის საშუალებით საერთაშორისო ასპარეზზე კიდევ ერთხელ აღმოჩნდა ქართული საოპერო თეატრი და სამაგალითო, მისაბადი და სასურველი გახდა ბევრი, საკმაოდ მნიშვნელოვანი წარსულის სახელოვანი თეატრისთვის თუ შემსრულებლისთვის...



- „დღევანდელ შეხვედრაზე მეტისმეტად რთულია კრიტიკოსის როლი და თბილისის ოპერის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლის განხილვა. „სალომე“ პირველ რიგში დირიჟორია და სალომეს პარტიის შემსრულებელი მომღერალი. თუ ეს დუეტი არ შედგა, მაშინ არ შედგება ეს ოპერა. ჯ. კახიძემ და ცისანა ტატიშვილმა შტრაუსის მუსიკა ისეთ მწვერვალზე აიყვანეს რომ თავს განადგურებულად ვგრძნობდი... მშვენიერია ცისანა

ტატიშვილის სალომე! მომღერალი აჯადოვებს მსმენელს თავისი ფილიგრანული ოსტატობით”

ნ. პოლიაკოვა

რუსეთის მუსიკალური საზოგადოების მუსიკალური თეატრების სექციის ხელმძღვანელი, კრიტიკოსი

- „განცვიფრებული ვარ ცისანა ტატიშვილის ხელოვნებით. მე დიდი ხანია თვალს ვადევნებ ამ შესანიშნავი მომღერლის განვითარებას, ყოველთვის ვესწრები მის კონცერტებსა და სპექტაკლებს პეტერბურგში და მოხიბლული ვარ მისით, მაგრამ სალომეს პარტია მან განსაკუთრებულ სიმაღლეზე აიყვანა. საოცრად ძღერის პიანოს და რაოდენ საჭიროა ეს ამ ოპერაში. ეს სპექტაკლი ჩინებულია მუსიკალური შესრულების მხრივ.“

მ. ბიალიკი

მუსიკისმცოდნე (პეტერბურგი)

- „ცისანა ხშირად მღერის ისეთ კონცერტებში, სადაც საბჭოთა კავშირის საუკეთესო მომღერლები არიან თავმოყრილნი. მსმენელთ-
ან ერთად, ჩვენც სულგანაბულნი ვუსმენთ მის სიმღერას, ელვარებს,
ბრწყინავს, საოცრად ზემოქმედებს ეს ხმა დარბაზზე, ჩვენზე, მის
კოლეგებზე და გულშემატკივრებზე. მე მიყვარს იგი, როგორც ადა-
მიანი. მას დიდი მეგობრობა შეუძლია, მიყვარს მისი უიშვიათესი,
ულამაზესი ხმა, რომელსაც ხშირად ვუსმენ და არ მომბეზრდება,
ენით გამოუთქმელ სიამოვნებას ვიღებ. საქართველოს ჰყავს ცისანა,
ასეთ მომღერლებს კი სიცოცხლეშივე უდგავენ ძეგლებს... იგი ნამდ-
ვილი პრიმა დონაა, პრიმა დონისთვის დამახასიათებელი საუკეთესო
თვისებებით, უნივერსალური შემოქმედებითი პოტენციალით. მას არ
ახასიათებს ამპარტავნება, ქედმაღლობა... პატივს ვცემ მის სისა-
დავეს, კეთილშობილ და პატრიოტულ ბუნებას.

ცისანა დიდი არტისტია, რომლის მსგავსსაც მსოფლიოს დიდ
სცენებზე იშვიათად ნახავთ...”.

მერი ნაკაშიძე

საქართველოს სახალხო არტისტი



ელენა ობრაზცოვა და ცისანა ტატიშვილი

- „ცისანა ტატიშვილი ღვთაებრივი მომღერალია. ბედნიერი ვარ რომ მაქვს საშუალება ვისმინო მისი ულამაზესი ხმა. დიდებული ოპერა, ცისანა კი სალომეს უბადლო შემსრულებელი”.

ელენა ობრაზცოვა

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი



ი. კოზლოვსკი და ცისანა ტატიშვილი

- „სიტყვები არ მყოფნის. მე მინახავს სცენაზე დიდი და შეუდარებელი პავლოვსკაია. ცისანა ტატიშვილმა დაჩრდილა მისი ელვარება”.

ი. კოზლოვსკი

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი

- „მე მინახავს გერმანიასა და ავსტრიაში „სალომეს’ დადგმები. ცისანა ტატიშვილის სადარი არ შემხვედრია და ვეჭვობ, რომ ოდესმე შემხვდეს”.

ხანალორე გერლახი

გერმანიის ხელოვნების აკადემიის პროფესორი

- „ღღეს შეუძლოდ ვიყავი, მაგრამ სპექტაკლზე მაინც მოვედი. არ ვნანობ, ძალიან მომეწონა. დარბაზის ერთსულოვნება ყველაზე დიდი ჯილდოა ცისანა ტატიშვილისთვის. ვუერთდები მის სიხარულს.”

ს. რიხტერი

